გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№101 (857) 2 - 3 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი

# მრავალსახეობა ბურჯანაძისა



## ნინო ბურჯანაძე „ვერსიას" სასამართლოში ჩივილით ემუქრება

## „ყველამ იცოდეს, სოფლიდან წასვლას არ ვაპირებ, აქ არის ჩემი მიწა!"



რას სთავაზობს რეინტეგრაციის სამინისტრო მცოცავი ოკუპაციით დაზარალებულებს და რის გარკვევას აპირებენ თბილისში სამაჩაბლოელები გვ. 4

## ქართული არჩევნების შუქ-ჩრდილები და პოლიტიკა ესპანურად



გვ. 7

## ღია წერილი

### საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს

მოგმართავთ თხოვნით ბრალდებულ გელა მიქაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლის თაობაზე გვ. 6

## პრეცედენტები ქმნის ტრადიციას

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

გვ. 5

## საქართველოში რეკორდული რაოდენობის — 80 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა!




გვ. 4

## მინისტრების ეფექტურობის რეიტინგში ირაკლი ღარიბაშვილი ლიდერობს



გვ. 2

## რეპორტაჟი პერეთიდან ანუ რატომ არ შეიძლება უკან დაბრუნება



გვ. 10

# ნაციონალური მოძრაობა ეკონომიკურ ვარდნას ივანიშვილის გუნდის არაკომპეტენტურობას, ქართული ოცნება კი მძიმე მემკვიდრეობას აბრალებს!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ქართული ოცნების გამარჯვების წლისთავზე, საქართველოს პარლამენტში, უმცირესობასა და უმრავლესობას შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დებატები გაიმართა. ეკონომიკის ზრდის წინასწარ პროგნოზირებული 5%-ის ნაცვლად, წელს მხოლოდ 3%-იანი ზრდა ფიქსირდება, რაც საპარლამენტო უმცირესობის შეშფოთებას იწვევს. ქართული ოცნება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, წინა ხელისუფლებისგან მიღებული მძიმე მემკვიდრეობით ხსნის და ამტკიცებს, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, ეკონომიკა ბიზნესის ტერორის ხარჯზე იზრდებოდა, რაზეც ქართულმა ოცნებამ უარი თქვა. შედეგად კი, გარდამავალ პერიოდში შემცირებული ეკონომიკა მივიღეთ, რასაც ძალიან მალე ეკონომიკური აღმასვლა მოჰყვება. ამ შემოდგომაზე ქართული ოცნების დაპირებების, ანუ წიწილების თვლას ველარ მოვასწრებთ, რადგან კარს ზამთრის სუსხი მოგვადგა, თუმცა „აღდგომა და ხვალეო“ და ამიტომ ეკონომიკური წინსვლის შედეგებს ნაალდგომევს, ვარდის ფურცლობის პირზე დაველოდოთ.**



დებატები პარლამენტში 15:00 საათზე დაიწყო. უმრავლესობის სახელით, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე **ზურაბ ტყემალაძე** გამოვიდა და ნახევარი საათის განმავლობაში იმ შედეგებზე ისაუბრა, რასაც ქართულმა ოცნებამ ერთ წელიწადში მიაღწია:

**„2013 წლის პირველ ნახევარში, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 458 000 000 აშშ დოლარი შეადგინა, რომლის 23,6% ენერგეტიკაზე მოდის, 17% — საფინანსო სექტორზე, 15% — გადამამუშავებელ მრეწველობაზე და 12,6% — ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე. მართალია, იმპორტი 4%-ით შემცირდა, სამაგიეროდ, ექსპორტი 6%-ით გაიზარდა. ქართული პროდუქციის ექსპორტი ევროპის ქვეყნებთან 34%-ით გაიზარდა, დსთ-ს წევრ ქვეყნებთან — 8,7%-ით, სუამის წევრ ქვეყნებთან — 2,8%-ით, ხოლო რუსეთის ფედერაციასთან — 35,3%-ით. საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების ნაწილობრივი აღდგენის შემდეგ, 2013 წლის მაისიდან, რუსეთში 15 000 000 აშშ დოლარის ღვინისა და 13 000 000 აშშ დოლარის მინერალური წყლის ექსპორტი განხორციელდა. 2013 წლის იანვარ-აგვისტოში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 20%-ით გაიზარდა, მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი — 51%-ით. წელს, ტურისტთა რაოდენობა 3 568 518 იყო, რაც 26%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით“.**

ამის შემდეგ, ტრიბუნასთან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი **მიხეილ მაჭავარიანი** მივიდა, რომელმაც ქართულ ოცნებას მოკლე ისტორიული ექსკურსი ჩაუტარა თემაზე, როგორი ქვეყანა ჩაიბარა სააკაშვილმა 2003 წელს, რა დაუტოვეს ქართულ ოცნებას და რა ვითარება გვაქვს ახლა, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის წლისთავზე:

**„ჩვენ ჩავიბარეთ ეკონომიკა, სადაც 23 გადასახადი იყო და დაგიტოვეთ ქვეყანა, სადაც სულ 5 გადასახადია. 2003 წელს ჩავიბარეთ ქვეყანა, სადაც 300 ლიცენზია და 600 ნებართვა იყო, მაგრამ 2012 წელს დაგიტოვეთ ქვეყანა, სადაც მხოლოდ 92 ლიცენზია და 52 ნებართვა. რაც შეეხება საბიუჯეტო დინამიკას, ბიუჯეტი ვერ სრულდება, მაგრამ ეს იმის შედეგია, რომ გეგმა არ გაქვთ და ეკონომიკურ გუნდში არაკომპეტენტური ხალხი გყავთ. 2002 წლიდან დაწყებული, ბიუჯეტი იზრდებოდა, ჩვენ ათჯერ გავზარდეთ საბიუჯეტო შემოსავლები და დაგიტოვეთ 8 748 000 000-ლარიანი სახელმწიფო ბიუჯეტი. უკვე გამოქვეყნდა 9 თვის საბიუჯეტო მონაცემები და, სამწუხაროდ, პირველად დაფიქსირდა, რომ საბიუჯეტო შემოსავლები 38 000 000 ლარით ნაკლებია, ვიდრე შარშან“.**

პალიკო კუბლაშვილმა იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა შეფერხდა და ამის მთავარი მიზეზი ის გადაწყვეტილებებია, რაც საქართველოს პარლამენტში, უმრავლესობის წარმომადგენლებმა მიიღეს. პირველი მიზეზი კი საშემოსავლო გადასახადის შემცირების გაუქმება და ამის ნაცვლად, დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება იყო, რომლის ეფექტი საქართველოს მოსახლეობამ ჯერ ვერ დაინახა. მისი თქმით, არასწორი გადაწყვეტილება იყო სიგარეტის გაძვირება და მინერალური წყლის მოსაკრებლის ზრდა, მაგრამ ყველაზე უარესი, რაც ქართულმა ოცნებამ გააკეთა, იყო ის, რომ უცხოელ მოქალაქეებზე მიწების გაყიდვა შეაჩერა, რის გამოც ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობა შეწყდა. პალიკო კუბლაშვილის თქმით, ესაა მიზეზი, რის გამოც ცალკეული ექსპერტები ქართულ ოცნებას უკომპასო ხელისუფლებას უწოდებს.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა, **ზურაბ მელიქიშვილმა** საბიუჯეტო კრიზისზე გაამახვილა ყურადღება: **„სიმბოლურია, რომ ეკონომიკური დებატები 1 ოქტომბერს იმართება. საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანია საბიუჯეტო მაჩვენებლები, რაც საგანგაშოა, თქვენგან კი მხოლოდ ის გვესმის, რომ ყველაფერი კარგადაა. რეალურად, საგადასახადო შემოსავლების ზრდა შემცირდა და პირველად დაფიქსირდა, რომ 2013 წლის 9 თვეში, 38 000 000 ლარით ნაკლები დაფიქსირდა. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი — „იბიარდი“, 2013 წლის მაისში აცხადებდა, რომ იანვართან შედარებით, საქართველოს პერსპექტივები გაუარესდა, რადგან ქვეყნის ეკონომიკური ზრდა შენელდა. დაგეგმილი 5%-იანი ზრდის ნაცვლად, 2013 წელს, ეკონომიკა მხოლოდ 3%-ით გაიზრდება. იმის გამო, რომ ბიუჯეტის შემოსავლებმა იკლო, საბიუჯეტო დეფიციტი 3,5%-მდე გაიზრდება“.**

ფრაქცია „ქართული ოცნება — თავისუფალი დემოკრატების“ სახელით, დებატებში მონაწილეობა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, **დავით ონოფრიშვილმა** მიიღო, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის შენელება იმ მძიმე მემკვიდრეობას დაუკავშირდა, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ ქართულ ოცნებას დატოვა: **„ერთი წლის წინ, გამოშიგნული ეკონომიკა, გაღატაკებული მოსახლეობა და ოკუპირებული ტერიტორიები ჩავიბარეთ. ჩვენმა ოპონენტებმა ბევრი ციფრი წარმოგვიდგინეს, მაგრამ ეკონომიკის დაღმასვლა მაშინ დაიწყო, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ ბიზნესი დაატერორა. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საკუთრებას ოჯახის წევრს ან ახლობელს ჩუქნიან, საქართველოში კი საკუთრებას სახელმწიფოს ჩუქნიდნენ, ქართულმა ოცნებამ კი ეს პროცესი დაასრულა. მართალია, ოპონენტები დაუბეგრავ მინიმუმს აკრიტიკებენ და ამ გადაწყვეტილების ეფექტს ვერ ხედავენ, მაგრამ ყველა ის ადამიანი, რომლის ხელფასი 500 ლარზე ნაკლებია, ეფექტს 2014 წლიდან დაინახავს, როდესაც დაუბეგრავი მინიმუმის სახით, ბიუჯეტიდან 365 ლარი დაუბრუნდება“.**

ვიდრე ეკონომიკური კოლაფსის მიზეზებზე ისაუბრებდა, ნაციონალური მოძრაობის წევრმა **აკაკი ბობოხიძემ**, საკუთარი გამოსვლა დავით ონოფრიშვილის კრიტიკით დაიწყო:

**„რატომ ღმერთი არ გაიცინებს, როდესაც შევარდნაძის ფინანსთა მინისტრი დავით ონოფრიშვილი, ჩვენგან გამოშიგნულ ეკონომიკაზე საუბრობს?! როდესაც ეკონომიკურ აღმავლობაზე აკეთებთ აქცენტს, სულხან-საბა ორბელიანის არაკი „ბრმა და მისი ცოლი“ მახსენდება, რადგან რამდენჯერაც უნდა თქვათ, რომ ეკონომიკაში ყველაფერი კარგადაა, შემცირებული სამუშაო ადგილებისა და გაჩერებული პროექტების ფონზე, მოსახლეობა ეკონომიკის გარდაცვალებას ძალიან კარგად გრძნობს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შარშან ვიღაცამ ძრავა გამორთო და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა შეაჩერა. ეკონომიკური კოლაფსი კი ბიძინა ივანიშვილის ბრალია, რომელმაც ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ პოლიტიკიდან წავა, რის გამოც ინვესტორები და ბიზნესი მოლოდინის რეჟიმში გადაიყვანა. ეკონომიკური დაღმასვლის მეორე მიზეზიც ბიძინა ივანიშვილია, რომელიც მხოლოდ პოლიტიკოსი კი არა, ბიზნესმენი და მილიარდერია. ვიდრე ივანიშვილი ინვესტორებს იმის მაგალითს არ მისცემს, რომ ბიზნესში საკუთარი თანხის ჩადებას იწყებს, არც ერთი ინვესტორი არ განახორციელებს საკუთარ პროექტებს ჩვენს ქვეყანაში. რაც შეეხება თანაინვესტირების ფონდს, ესაა წინასაარჩევნო ხრიკი, კოდური სახელწოდებით — გადავარჩინოთ რიგითი მარგველაშვილი!“**

ეკონომიკური დებატები პარლამენტში, დაახლოებით, 6 საათი გაგრძელდა. ოპოზიციაცა და ხელისუფლებაც ცდილობდა, საზოგადოებისთვის თავი მოეწონებინა და საკუთარი ღვაწლი და დამსახურება დაენახვებინა, აქაოდა, ნახეთ, რა მაგარი ხელისუფლება ვიყავით და ვართო. თუმცა მიუხედავად უამრავი საინტერესო გამოსვლისა, კიდევ უფრო გაუგებარი და ბუნდოვანი გახდა პასუხი კითხვაზე — გვეშველება რამე?

ვერსიანიუსი

## „ფსიქოპროექტის“ კვლევის მიხედვით, მინისტრების ეფექტურობის რეიტინგში ირაკლი ღარიბაშვილი ლიდერობს



საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრ „ფსიქოპროექტის“ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, მინისტრების ეფექტურობის რეიტინგში შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლიდერობს. მეორე-მესამე ადგილს ირაკლი ალასანია და კახა კალაძე ინაწილებენ. ხუთეულში მეოთხე-მეხუთე ადგილები კი იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსა და ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს უკავია.

რაც შეეხება დანარჩენ მინისტრებს, მათ მინისტრების ეფექტურობის რეიტინგში ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით უკავიათ: თამარ სანიკიძე, დავით სერგეენკო, შალვა ფიფია, სოზარ სუბარი, დავით ნარმანია, ალექსი პეტრიაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ლევან ყიფიანი, მაია ფანჯიკიძე, ნოდარ ხადური, კოტე სურგულაძე, გურამ ოდიშარია, დავით დარახველიძე და ხათუნა გოგოლაძე.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჯიჰადის“ სახელით გავრცელებული ვიდეოს საქმე ერთი თვეა გახსნილია!“

**„ჯიჰადის“ სახელით გავრცელებულ ვიდეოებთან დაკავშირებული საქმე გამოძიებულია და გახსნილია უკვე ერთი თვეა“**, — განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ და ისიც დასძინა, რომ ამ საკითხზე ბრიფინგი შსს-ში ხუთშაბათს გაიმართება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის განმარტებით კი, **„პირს, რომელმაც „ჯიჰადის“ სახელით ვიდეოები გაავრცელა, წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული. დადგენილია ისიც, ვინც ეს ჩაიდინა და სასამართლოს მეშვეობით პატიმრობა უკვე შეეფარდა. საქმესთან დაკავშირებით დამატებით დეტალებს საზოგადოება ხუთშაბათს შეიტყობს“.**

ნინო გიორგობიანი თავდაცვის მინისტრის განცხადებასაც გამოეხმაურა. როგორც ირაკლი ალასანიამ განაცხადა, შესაძლოა, „ჯიჰადის“ სახელით გავრცელებული ვიდეორგოლების საკითხი მისმა უწყებამ გამოიძიოს. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ დღემდე ვიდეორგოლების გამოძიების კუთხით არანაირი სიახლე არ არსებობს. ალასანიას განმარტებით, თუ პროგრესი არ იქნება გამოძიებაში, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს, თავდაცვის სამინისტრო როგორც საერთაშორისო, ისე საკუთარ რესურსებს გამოიყენებს. ნინო გიორგობიანი აცხადებს, რომ სჯობდა, ირაკლი ალასანიას ამ განცხადების გაკეთებამდე ინფორმაცია კოლეგა მინისტრთან გადაემოწმებინა, რადგან **„საქმე დიდი ხანია, გახსნილია, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ხმაურდებოდა!“**

*„ვერსიანიუსი“*

# მრავალსახეობა ბურჯანაძისა

რეზო შატაკიშვილი









**ნინო ბურჯანაძე. პრეზიდენტობის კანდიდატი. შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი რეალურიც, თორემ პრეზიდენტობაზე პრეტენზიას, ბურჯანაძიანად, 23 პირი აცხადებს. მისი პოლიტიკური ბიოგრაფია იმდენად არაერთგვაროვანია, რომ როცა ვინმე ლანძღავს ან აქებს, უნდა „ჩაეკითხო“ – რომელ ბურჯანაძეს აგინებს ან აქებს?**

მოქკავშირელ ნინო ბურჯანაძეს, ოლიმპოსკენ გზას მამისა და მამის ძმაკაც შევარდნაძის წყალობით რომ იკვლევდა? მას ხომ, თავის დროზე, ხან პურის პრინცესად იხსენებდნენ, ხან ფქვილისად, ხანაც ჭიანაჭამი ფქვილისად? ქართული სიბრძნე, რომლის თანახმადაც „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილი“, ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში ახალი ვარიაციით აჟღერდა ბურჯანაძესთან მიმართებაში – მიუხედავად იმისა, რომ ის ჭიანი ფქვილი მამამისმა კი არა, ჩვენ – მოსახლეობამ ვჭამეთ, თანაც წლების მანძილზე, სწორედ ბურჯანაძეს მოჭრა კბილი. წაძახება წაძახებად, თორემ რეალურად, რანაირად მოჭრა? ქართლში როგორც იტყვიან, დღემდე თავი მწვანე კიტრივით მოაქვს და აგერ, ლამისაა, პრეზიდენტობასაც გამოჰკრას ხელი.

რომელ ნინოს აქებენ ან აგინებენ – კრემლის, რუსული პოლიტიკის კრიტიკით რომ გაითქვა სახელი და შემდეგ „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა? და შემდეგ 7 ნოემბრის დარბევა სკანდალურად შეაფასა – „სახელმწიფო შედგა“ თუ მას, რომელიც სულ მალე, სააკაშვილს დაუპირისპირდა და ოპოზიციაში გადაინაცვლა? თუ დღევანდელ ნინო ბურჯანაძეს – როგორც სიმბოლოს რუსეთთან დაახლოებისა?

მისი პოზიციები საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე იმდენად რადიკალურად იცვლებოდა, რომ მასზე, როგორც ერთ პოლიტიკურ მთლიანობაზე, საუბარი, მართლაც, ძნელია. ეს მრავალსახეობა თუ ეკლექტური ერთიანობა – სახელად ბურჯანაძე რომ დღეს ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი ფაქტორია – ფაქტია და თან ვირივით ჯიუტი ფაქტი. როდესაც ამ ფაქტორზე ვსაუბრობთ, სულ მცირე, ორი გზა გვაქვს – ან უნდა მივყვეთ იმ გზას, რომ ნამდვილი ბურჯანაძე დღევანდელი ბურჯანაძეა – რუსეთის მოტრფიალე და საიმედო დასაყრდენი, ხოლო რაც აქამდე იყო – რუსეთის კრიტიკა, პროგრესული, პროდასავლური იმიჯი, მხოლოდ ბლეფია ჩვენი თვალის ასახვევად და ჩვენ გვაბითურებდა. ეს გზა ბევრს შეიძლება შეთქმულების თეორიასთან წილნაყარად მოეჩვენოს, ბევრს – საფუძვლიანადაც, მაგრამ გაიხსენოს მისი ოჯახის პარტიულ-ნომენკლატურული წარსული და წრედიც შეკრას.

არის მეორე ვარიანტიც – როგორ მოხდა მარგინალიზაცია – ხელისუფლებას ჩამოცილებულმა პროდასავლელმა ლიდერმა ძალაუფლების დასაბრუნებლად როგორ იბრუნა პირი ჩრდილოეთით.

მე, პირადად, დღეს, როდესაც კრიტიკულად განმაწყობს მისი პოლიტიკური ორიენტაცია, მისი განცხადებები, მაინც მახსენდება ის ნინო ბურჯანაძე – ტელე თუ საერთაშორისო ტრიბუნებიდან შესანიშნავი რუსულით შესანიშნავად რომ უტევდა კრემლს, შინ, სპიკერატიდან კი – ვიტალი ხაზარაძესა და ძმათა მისთა. მახსენდება ის ნინო ბურჯანაძე, ვარდების რევოლუციისდროინდელი და ერთად მიპყრობს გულდაწყვეტაც, გულაცრუებაც, აღშფოთებაც. მართლაც და, რას უნდა მიეწეროს ასეთი რადიკალური გარდასახვები? თუ მას იმიჯი არც შეუცვლია და, უბრალოდ, პოზიციებს იცვლის მარაოსავით? როგორც კი დაინახავს, რომ პოზიცია ხელში შემოაცვდა და ველარ უნიავებს, მოისვრის, ახალს იღებს და ალაგ-ალაგ ყბადაღებულ მარგალიტსაც შეათამაშებს? მარგალიტებზე გამახსენდა, ის ერთ დროს მარგარეტ ტეტჩერის ქართულ ვარიანტსაც წარმოადგენდა, რკინის ლედობისკენ ილტვოდა, გარეგნობაშიც იმეორებდა მის სტილს, გამოსვლების ტონშიც, ჩვენც გვერკინისლედებოდა და ერთობ ელასტიური ლედი კი მივიღეთ.

მისი კარიერა დაბადებიდანვე დაიწყო – რაიკომის მდივნის ქალიშვილად დაიბადა. განათლება არ დაუკლიათ, თბილისში უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურა მოსკოვში გაიარა და დისერტაციაც დაიცვა საზღვაო სამართალში. თბილისში 1991 წელს დაბრუნდა და დოცენტად დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტში, პარალელურად, გარემოს დაცვის ექსპერტ-კონსულტანტი იყო, მას შემდეგ, რაც შევარდნაძე მოვიდა ხელისუფლებაში, პარლამენტში გადაინაცვლა ექსპერტ-კონსულტანტად. 1995 წელს მოქკავშირის სიაშიც ჩასვეს.

როგორ აღმოჩნდა პოლიტიკურ ორბიტაზე? ანზორ ბურჯანაძის ვერსიით, ზურაბ ჟვანია მას სთავაზობდა სიაში ჩასმას, უარის შემდეგ, ქალიშვილის კანდიდატურა შესთავაზა. სხვა ვერსიით, მაშინ ზურაბ ჟვანიამ ამ მანევრით შევარდნაძის გულის მოგება სცადა, თუმცა არსებობს კიდევ ერთი ვერსიაც – რომ გამდიდრებული ბურჯანაძეები იქით ცდილობდნენ პოლიტიკაში დამკვიდრებას.

ფაქტია, ბურჯანაძე პოლიტიკაში გამოჩნდა და მისი პოლიტიკური სტაჟი უკვე 18 წელს ითვლის. პირველად მაშინ გადაიკვეთა მისი და სააკაშვილის გზები – სააკაშვილი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო, ნინო ბურჯანაძე – მისი მოადგილე. 1998 წელს, როდესაც სააკაშვილი ფრაქციის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, ნინომ მისი სავარძელი დაიკავა. შემდგომში მან სააკაშვილისგან გათავისუფლებული სკამი კიდევ ერთხელ დაიკავა – თანაც პრეზიდენტის, მართალია 40 დღით, მაგრამ მაინც. ახლაც ისევ მიშას სავარძლისკენ მიუწევს გული (?!) 1999 წელს ისევ მოქკავშირის სიით გადეპუტატდა, 2001 წელს კი, როცა ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგა, აკაკი ასათიანის ინიციატივით, სპიკერი ბურჯანაძე გახდა. ბურჯანაძეზე ფსონი დადო თვით ჟვანიამაც – ვაჟა ლორთქიფანიძის კანდიდატურას ჟვანიამ შევარდნაძისთვის მისაღები ბურჯანაძის კანდიდატურა დაუპირისპირა. თავმჯდომარედ მისი გაყვანა კი ხათუნა გოგორიშვილის ძალისხმევით მოხდა, თუმცა შემდეგში მისი უმადურობის ეპოპეა სწორედ გოგორიშვილით დაიწყო, პირველად სწორედ მას დაემდურა. ამ დამდურებამდე კი, მართლაც, საინტერესო პროცესები მიდიოდა პარლამენტში – შევარდნაძეს ჟვანია-სააკაშვილის ფლანგი უპირისპირდებოდა, პარლამენტში პროცესები დუღდა, მძვინვარებდა მანამდე გაუგონარი (რაც შემდეგაც აღარ განმეორებულა) პროცედურული ომები, ამ ფონზე ნელ-ნელა წამოიზარდა ბურჯანაძის პერსონა, რომელიც მაშინდელი ოპოზიციისკენ იხრებოდა და უპირისპირდებოდა ისეთ ოდიოზურ ფიგურებს როგორიც იყო ვიტალი ხაზარაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი, მათი და ირინა სარიშვილის ლანძღვა მალამოდ ედებოდა ახალი ლიდერის კარიერას. ამ ყველაფერს ემატებოდა ზემოთ უკვე მრავალგზის ნახსენები მისი გამოსვლები საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ის დაუნდობლად აკრიტიკებდა რუსეთს. მისი პრინციპულობით მოხიბლულმა საზოგადოებამ „ქატო იქა, ფქვილი იქა” უთხრა მის ოჯახურ, პარტიულ წარმომავლობას, ირწმუნა სავლეს პავლედ ქცევა, თან იოლად, ნინო თავად ხომ არ იყო ნომენკლატურა, უბრალოდ, ნომენკლატურული ოჯახიდან იყო. ქართულ საზოგადოებას პირიქით, უფრო მისაღებადაც ეჩვენა – ოჯახური ფაქტორის გამოყენებით პოლიტიკაში მოსვლა და დამკვიდრება, საზოგადოებისთვის, ქართული მენტალიტეტისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა მამის ფაქტორით გაქაჩული ქალი პოლიტიკოსი, რომლის ქალური პატიოსნება საეჭვო არ იყო, სხვა ქალი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით.

ზურაბ ჟვანიას მიერ გაგმირებულმა ბურჯანაძემ, თავადაც დაიჯერა, რომ გმირი იყო. ჟვანიამ მას იმხელა ამბიცია გაუჩინა, რომ შემდეგ მისი ამბიციების დაკმაყოფილება სხვამ ველარავინ შეძლო – ისევ ჟვანიას გარდა, რომელმაც სიაში პირველი ადგილიც დაუთმო და საერთოდ, ბლოკს დაარქვა „ბურჯანაძე-დემოკრატები“. შევარდნაძემ შური იძია ოპოზიციაში გადანაცვლებულ ბურჯანაძეზე – კინაღამ პარლამენტს გარეთ დატოვა მისი ბლოკი. ბურჯანაძე ჟვანიასთან ერთად ქუჩაში გამოვიდა. დაიწყო „ვარდების რევოლუცია“. ნინოსაც სჭირდებოდა მაშინ ის რევოლუცია და რევოლუციასაც სჭირდებოდა ნინო – „გასაპრავებლად“. სააკაშვილთან ერთად, სწორედ ბურჯანაძე შეიჭრა პარლამენტში, ამის გარდა, არავინ უწყოდა, რომ შევარდნაძე გადადგებოდა და სათადარიგო სცენარიც იყო, რაღა სათადარიგო – ყველას გვახსოვს მისი გამოსვლა 22 ნოემბრის ღამეს – შევარდნაძე ქმედუუნაროა და პრეზიდენტის მოვალეობას მე შევასრულებო. რევოლუციონერები მაშინ შევარდნაძის მრჩევლის – ლევან ალექსიძის ცნობილ განცხადებას ეყრდნობოდნენ, მაგრამ მერე შევარდნაძე თავად გადადგა და ამ მიმართულებით ბრძოლამაც აზრი დაკარგა. ბურჯანაძე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. მას ჯერ კიდევ მაშინ სურდა პრეზიდენტობა, მაგრამ მაშინ ამბობდნენ, სააკაშვილმა დაასწრო – ცესკო-ში განაცხადი შეიტანა და ნინოც და დასავლეთიც ფაქტის წინაშე დააყენაო. შეურიგდა ბედს – ისევ პარლამენტის თავმჯდომარეობას, მაგრამ ვერ შეურიგდა სიებიდან ხალხის ამოყრას და კვოტის შემცირებას – ჟვანიას წაეჩხუბა, მაგრამ არ უჩხუბია მაშინ, როცა პარლამენტს უფლებებს უზღუდავდნენ, რამაც იგი სააკაშვილის ნოტარიუსად აქცია. მისმა პერსონამ პოლიტიკური ჟღერადობა დაკარგა, მისი პრინციპულობა ალაგ-ალაგღა იჩენდა თავს, ისიც აცა-ბაცა, ისიც პერსონალურ საკითხებზე (მაგალითად, ერჩოდა სალომე ზურაბიშვილს), პრინციპული პოზიციების ნაცვლად, უკვე კაპრიზების ენაზე ალაპარაკდა. მერე იყო 7 ნოემბრის დადებითად შეფასება და, სანაცვლოდ, წყნეთის რეზიდენცია და 31 ჰექტარი მიწა 1 ლარად. შემდეგ ისევ ჩხუბი სიებზე უკვე სააკაშვილთან, ჟვანია აღარ იყო ცოცხალი. შემდეგ საერთოდ აღარ იყარა კენჭი, დემოკრატიის განვითარების ფონდი დააფუძნა, მერე პარტიაც – ისევ ქუჩაშიც გამოვიდა ახალი რევოლუციის მოსაწყობად, თვითონაც ბევრი ირბინა და სხვაც ბევრი არბენინა. ისტორია აღარ განმეორდა. სააკაშვილზე გაგულისებულმა აგვისტოს ომს უაზრო უწოდა, ომში დაღუპულ ბიჭებს – უაზრო ომში ჩახოცილები. მარგინალიზაციის გზამ მოსკოვს, პუტინთან ჩაიყვანა – ცივ ზამთარში „ფრანცუსკებისამარა“...

მერე იყო 26 მაისი და მოედანზე ლიდერის გარეშე დარჩენილი აჩეხილ-დასისხლიანებული, დაპატიმრებული ხალხი, საქართველოდან გაქცეული ლიდერის ქმარი — ბადრი ბიწაძე და ყურში სამუდამოდ ჩარჩენილი ნინოს კივილი — „სად მიგყავთ ჩემი შვილი?!“... სხვისი ქმარ-შვილის ბედი მხოლოდ მას შემდეგ იკითხა, როცა საკუთარი სამშვიდობოს დაიგულა!.. თუმცა, დღეს ამბობს, რომ არ ნანობს და რომ არა 26 მაისის მსხვერპლი, 2012 წლის 1 ოქტომბერი არ იქნებოდა — კარგი პიარსვლაა, ლიდერის უუნარობა თუ პოლიტიკური დანაშაული გამარჯვების სამსხვერპლოზე „გააპრავო“... არადა, როგორ ეწყინა, როცა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, 26 მაისის საქმეზე თუ ბურჯანაძის ბრალეულობა გამოიკვეთა, პასუხი უნდა აგოსო? ვერც ის აიტანა, როცა იგივე ივანიშვილმა იკითხა, ბევრი კითხვა მაქვს ქალბატონ ნინოსთან, მათ შორის ძალიან მაინტერესებს, როგორ გავიდა საქართველოდან 26 მაისს ბადრი ბიწაძეო...

„სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის!“ — დღეს სწორედ ამ ლოზუნგით მანიპულირებს, თუმცა, როგორც ჩანს, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ბურჯანაძე-ბიწაძეებს არ ეხებათ... და მართალიც, არის ნინო ბურჯანაძე „ყველა“ არ არის, ბიძინა ივანიშვილმა, 1 ოქტომბრის გამარჯვებიდან 1 წლისთავზე „მესიის“ როლზე უარი თქვა, ბურჯანაძე „მესიის მახვილის“ როლისთვის ემზადება, თუმცა ამქვეყნად სამართლიანობის შემოქმედი ავიწყდება და ისიც... „ვინცა აღიღოს მახვილი, მახვილითვე წარწყმდეს!“

რთველი–2013

# საქართველოში რეკორდული რაოდენობის — 80 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა!

**„რთველი — 2013“ კახეთის რეგიონში 25 აგვისტოს, დედოფლისწყაროს რაიონიდან დაიწყო.**
**29 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო ათწლეულის მანძილზე, კახეთში 81 კომპანიის მიერ მიღებული და გადამუშავებულია რეკორდული რაოდენობის ყურძენი — 80 097 ტონა, მათ შორის „საფერავი“ – 25 570 ტონა, „რქაწითელი“ – 51 660 ტონა, „მწვანე კახური“ — 1 406 ტონა, სხვა ჯიშები – 14 062 ტონა. შარშან მთლიანობაში, მხოლოდ 52 000 ტონა ყურძენი გადამუშავდა.**



როგორც „ვერსიას“ ღვინის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში ჩართული 81 კომპანიიდან 79 კომპანია კერძოა, ორი კი სახელმწიფოს საკუთრება — შპს „გრუზვინპრომი“ და შპს „აკურა“. სახელმწიფო კომპანიების მიერ შესყიდული და გადამუშავებულია 12 479 ტონა ყურძენი, რაც საერთო რაოდენობის 15%-ია. 2012 წელს, სახელმწიფო კომპანიების მიერ გადამუშავებული ყურძნის წილი 65%-ს შეადგენდა.

**„რთვლის წინასწარი პროგნოზი სრულად გამართლდა. კერძო სექტორის იაფი კრედიტითა და ფასის სუბსიდირების შედეგად, „საფერავზე“ ძალიან დიდი მოთხოვნა იყო, რის გამოც, ამ ჯიშის ყურძენი მთლიანად კერძო სექტორმა აითვისა, სახელმწიფოს კი მხოლოდ ჭარბი, თეთრი ყურძნის ჩაბარება უწევს. „გრუზვინპრომმა“ მხოლოდ 190 ტონა დაზიანებული „საფერავი“ ჩაიბარა, დანარჩენი რაოდენობა კი თეთრ ყურძენზე მოდის. რაიონების მიხედვით შესყიდული და გადამუშავებული ყურძნის მაჩვენებელი ასეთია: სიღნაღის რაიონი – 11 757 ტონა; გურჯაანის რაიონი – 18 095 ტონა; თელავის რაიონი — 17 725 ტონა; ყვარლის რაიონი – 17 199 ტონა; დედოფლისწყაროს რაიონი – 3 965 ტონა; ახმეტის რაიონი – 2 471 ტონა; ლაგოდეხის რაიონი – 3 719 ტონა; საგარეჯოს რაიონი – 5 162 ტონა“,** — განუცხადეს „ვერსიას“ ღვინის ეროვნულ სააგენტოში.

განსაკუთრებული მოთხოვნაა მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში, „მუკუზანი“, „ახაშენი“, „ქინძმარაული“, სადაც ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები მზადდება. ამის გამო, უკანასკნელ დღეებში, 1 კილოგრამ „საფერავზე“ ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და ამ ჯიშის ყურძნის მაქსიმალური ფასი 2,10 ლარი გახდა, თუმცა ამ ფასად მხოლოდ 78 ტონა ყურძენი შეიძინეს და გადაამუშავეს. „რქაწითელის“ მაქსიმალური ფასი 1,40 ლარია. ამ ფასად მხოლოდ 72 ტონა ყურძენი შეიძინეს და გადაამუშავეს, უმეტესად, წინანდლის მიკროზონაში. „მწვანე კახურის“ მაქსიმალური ფასი კი 1,45 ლარია. ამ ფასად, ძირითადად, მანავის მიკროზონაში 98 ტონა ყურძენი შეიძინეს და გადაამუშავეს.

„წითელი“ ყურძნის, იგივე „საფერავის“ გადამუშავების პიკი 12 სექტემბერს დაფიქსირდა. ერთ დღე-ღამეში 4 500 ტონა გადაამუშავეს, ხოლო „თეთრი“ ყურძნის, „რქაწითელისა“ და „კახური მწვანეს“ გადამუშავების პიკი 25 სექტემბერს დაფიქსირდა, როდესაც დღე-ღამის განმავლობაში, 3 800 ტონა ყურძენი გადამუშავდა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ რთველი მალე დასრულდება, რასაც მიღება-გადამუშავების ბოლო დღეების მონაცემებიც ადასტურებს. 29 სექტემბრის მდგომარეობით, დღე-ღამეში 1 978 ტონა ყურძენი გადამუშავდა. „საფერავის“ მოსავალი მიილია და მისი დღიური გადამუშავება დაახლოებით 30-40 ტონას შეადგენს.

ღვინის კომპანიებს შორის კი უნდა აღინიშნოს შპს GWS, შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“, შპს „ბადაგონი“, შპს „დუგლაძეების ღვინოების კომპანია“, შპს „ვაინმენი“, ს/ს „თბილღვინო“, ს/ს „თელიანი ველი“, შპს „თელავის ღვინის მარანი“, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“, შპს „წინანდლის ძველი მარანი“, რომლებმაც უკვე 1 000 ტონაზე მეტი ყურძენი უკვე გადაამუშავეს, მაგრამ ყურძნის შესყიდვას კვლავაც აგრძელებენ.

***მაია მიშელაძე***

ოკუპირებული ზონა

# „ყველამ იცოდეს, სოფლიდან წასვლას არ ვაპირებ, აქ არის ჩემი მიწა!“

## რას სთავაზობს რეინტეგრაციის სამინისტრო მცოცავი ოკუპაციით დაზარალებულებს და რის გარკვევას აპირებენ თბილისში სამაჩაბლოელები







რუსუდან შელია
557-100-768


**დვანში, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებმა გივი მახაჭაშვილმა, მერაბ მეკარიშვილმა და კაკო კორაშვილმა, რუსი მესაზღვრეების მოთხოვნით, საკუთარი საცხოვრებელი სახლების დემონტაჟი დათქმულ ვადებში დაასრულეს — სამშენებლოდ ვარგისი მასალები გამოტანილია და ეზოში ვაშლი დაკრეფილი, მაგრამ სთავაზობს თუ არა ცენტრალური ხელისუფლება გამოსახლებულ სამ ოჯახს ალტერნატიულ ფართს, უცნობია. რამდენიმე დღეში კი, ეს ტერიტორია სახლებითურთ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრისმიღმა აღმოჩნდება და ქართველები საკუთარ სახლს მხოლოდ მავთულხლართებიდან ნახავენ.**

როგორც „ვერსიას“ რეინტეგრაციის სამინისტროს აპარატში განუმარტეს, ჯერჯერობით, უწყება კონფლიქტისპირა სოფლის მაცხოვრებლების პრობლემებს სწავლობს, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი კი ადგილობრივი მოსახლეობისთვის არავის შეუთავაზებია, რადგან ისინი წინა ხელისუფლების მიერ აშენებულ კოტეჯებში ცხოვრობენ. როგორც სამინისტროში გვაცნობეს, 2008 წლის ომის დროს დვანში 45 სახლი დაიწვა, დაზარალებულ ოჯახებს კი ნაციონალურმა მოძრაობამ საცხოვრებლად კოტეჯები აუშენა: **„სამინისტროს თანამშრომლები დვანში რამდენჯერმე იმყოფებოდნენ, სადაც ადგილობრივების პრობლემები დეტალურად შევისწავლეთ. ასე რომ, სრული ინფორმაცია გვაქვს, რა მიმართულებით სჭირდებათ დვანელებს დახმარება. ამ ეტაპზე, სწორედ მათ პრობლემებს განვიხილავთ. რაც შეეხება სამ სახლს, რომელიც ე.წ. საზღვრისმიღმა აღმოჩნდება, ჩვენი ინფორმაციით, ისინი საცხოვრებელ ფართებად 2008 წლის ომის შემდეგ არ გამოიყენებოდა. მეპატრონეები ამ ფართებს მხოლოდ სათავსოებად იყენებდნენ, თავად კი 2008 წლის ომის შემდეგ აშენებულ კოტეჯებში ბოლო რამდენიმე წელია ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის ამ სამ ოჯახს ალტერნატიული ფართი დიდი ხანია აქვს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი ზარალი ჩვენთვის მნიშვნელოვანი არ არის. პირიქით, როგორც გითხარით, სამინისტრო მათ დასახმარებლად უკვე მუშაობს“.**

„ვერსია“ დვანში მცხოვრებ მერაბ მეკარიშვილსაც დაუკავშირდა, რომელმაც საგვარეულო სახლის დანგრევას მხოლოდ ხუთი დღე მოანდომა. მისი განცხადებით, აგვისტოს ომის შემდეგ, კოტეჯი მართლაც აუშენეს, თუმცა იმდენად მცირე ფართია, რომ ექვსსულიან ოჯახს იქ ცხოვრება უჭირს: **„დიახ, ექვსსულიანი ოჯახი ახლა, მართლაც, ნაციონალური მოძრაობის მიერ აშენებულ კოტეჯში ვცხოვრობთ, რომელიც სიგრძეში ექვსი მეტრია, სიგანეში — ოთხი, მაგრამ 2008 წლის შემდეგ, დამწვარი სახლი ჩემივე ხელით აღვადგინე. მას საცხოვრებლადაც ვიყენებდი, რადგან იმ კოტეჯში ყველანი ერთად ვერ ვეტეოდით. თავად სამინისტროს წარმომადგენლებმაც ნახეს, რომ სახლში საწოლი, ტელევიზორი, მაცივარი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები გვედგა. რაც შეეხება ხელისუფლების დაპირებებს, არავინ იფიქროს, რომ ვინმეს რამეს შევეხვეწები. ჩვენთან პაატა ზაქარეიშვილის მოადგილე ქეთი ციხელაშვილიც იმყოფებოდა, ერთი კოტეჯიც დაათვალიერა და მალევე წავიდა, მაგრამ ამის შემდეგ რა იქნება, არაფერი უთქვამს. პრობლემა ბევრი გვაქვს, მაგალითად, წყალს ვედროებით ვეზიდებით და ზამთრისთვის შეშა არ გვაქვს, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ სოფლიდან წასვლას არ ვაპირებ — აქ არის ჩემი მიწა! თუ ოსებმა სახნავ-სათესი ტერიტორია დამიტოვეს ან მთავრობა რამით დამეხმარება, რა თქმა უნდა, აქ ცხოვრებაც გაგვიიოლდება, თუმცა თუ ასე არ მოხდა, როგორც გითხარით, სახვეწარიც არაფერი მაქვს. სოფელში ყველა დამეხმარება და კოტეჯსაც გავაფართოებ“.**

მერაბ მეკარიშვილის განცხადებით, რამდენიმე დვანელი თბილისში ჩამოსვლასაც აპირებს, რათა პირადად მოისმინონ საქართველოს მაღალჩინოსნების პოზიცია კონფლიქტისპირა სოფელში არსებული მდგომარეობის შესახებ.




მე-12 საუკუნე - ყუთლუ არსლანის დასი და კარავის მოთხოვნა აბსოლუტური ძალაუფლების გადანაწილების შესახებ - ეს ფეოდალურ ეპოქაში პირველი პრეცედენტია

1919 წელი - საქართველოს პირველი რესპუბლიკის სადამფუძნებლო კრების საყოველთაო არჩევნებში ევროპის უმრავლეს ქვეყანაზე ათწლეულობით ადრე ხმის უფლება აქვთ ქალებს; არჩეულ დეპუტატთაგან კი ოთხი ქალია

1990 წელი - უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა

2012 წელი - არჩევნების გზით ხელისუფლების გადაცემის პირველი პრეცედენტი, რომელიც ყველა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ შეაფასა როგორც სამართლიანი, გამჭვირვალე და ისტორიული

# პრეცედენტები ქმნის ტრადიციას

www.cesko.ge

ცესკო

# ღია წერილი

## საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს

ბატონო მთავარო პროკურორო,

**მოგმართავთ თხოვნით ბრალდებულ გელა მიქაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლის თაობაზე.**

გელა მიქაძე დაიბადა 1971 წელს. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 2001 წელს იმავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1999-2000 წლებში მუშაობდა მოსკოვის ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების ინსტიტუტში; 2000-2001 წლებში — სტაჟირება გაიარა იურიდიულ კომპანია Baker Botts-ში, ქ.ვაშინგტონში; იყო საერთაშორისო კომპანიების („კოკა-კოლა", „ჯონსონი და ჯონსონი") წარმომადგენელი საქართველოში; 2006-2008 წლებში იყო სს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; 2006-2012 წლებში — შპს „რაკიინ დეველოპმენტის" გენერალური დირექტორი; ხოლო 2006 წლიდან 2013 წლამდე ხელმძღვანელობდა შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯიას" და შპს „რაკია ჯორჯიას თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას". გ.მიქაძე არის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის „მეცენატთა ოლიმპიური დარბაზის" წევრი; ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. არასოდეს ყოფილა ნასამართლევი.

გ.მიქაძე დაკავებული იქნა 2013 წლის 09 ივნისს; მას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება დიდი ოდენობით). თავდაპირველად, წინასასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2013 წლის 01 აგვისტოს, მაგრამ ბრალდების მხარის მოთხოვნით, სასამართლოს მიერ გადაიდო ჯერ 20 სექტემბრამდე, ხოლო შემდეგ 07 ნოემბრამდე.

ჩვენ გავეცანით როგორც ბ-ნი გ.მიქაძის მიმართ წარდგენილ ბრალდებას, ისე დაცვის მხარის პოზიციას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, თქვენი ყურადღება გვსურს გავამახვილოთ არა ბრალდების დასაბუთებულობაზე, რის შესახებაც სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმის არსებითი განხილვის დროს, არამედ იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, დღეისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს გ.მიქაძის პატიმრობაში ყოფნა. კერძოდ, მისი დაკავებიდან განვლილი სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში საქმეზე დაკითხული იქნენ მოწმეები, ჩატარებული იქნა ჩხრეკა, ამოღებული იქნა გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, დაყადაღებული იქნა გ.მიქაძის უძრავ-მოძრავი ქონება და საბანკო ანგარიშები.

2013 წლის ივლისში თქვენს მიერ საჯაროდ იქნა გაცხადებული, რომ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, პრინციპულად იცვლება პროკურატურის მიდგომა აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც შეეხება ფინანსურ დანაშაულებს; აღნიშნული განცხადების შემდეგ, არაერთ გახმაურებულ საქმეზე, სადაც ბრალდებულებს (ბიზნესმენებსა და სახელმწიფო მოხელეებს) ბრალად ედებოდათ ქონების მითვისება და გაფლანგვა, პროკურატურამ მოითხოვა, რომ ბრალდებულებს არ უნდა შეფარდებოდათ წინასწარი პატიმრობა და მათ განესაზღვრათ ალტერნატიული არასაპატიმრო ღონისძიებები.

ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ გ.მიქაძეს, როგორც წარმატებულ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს. იგი გვერდით დაუდგა მრავალ გაჭირვებულ ადამიანს; მატერიალურად დაეხმარა ქართველ სპორტსმენებს; ყოველთვის გამოირჩეოდა თავმდაბლობით, მეგობრებისა და ოჯახის სიყვარულით, გაკეთებული აქვს მრავალი სასიკეთო საქმე. გ.მიქაძის განვლილი ცხოვრება საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ის ხელს არ შეუშლის გამოძიებას, არ დაიმალება, არ მოახდენს ზემოქმედებას მოწმეებზე და არ გაანადგურებს მტკიცებულებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი თხოვნა და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოთ ბ-ნი გ.მიქაძის მიმართ შეფარდებული წინასწარი პატიმრობის შეცვლას სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებით.

**პატივისცემით,**

**ლევან ალექსიძე, აკადემიკოსი**
**რისმაგ გორდეზიანი, აკადემიკოსი**
**გურამ თევზაძე, აკადემიკოსი**
**როინ მეტრეველი, აკადემიკოსი**
**შოთა სამსონია, აკადემიკოსი**
**ელგუჯა ხინთიბიძე, აკადემიკოსი**
**ავთანდილ სილაგაძე, აკადემიკოსი**
**გურამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი**
**ნუგზარ ალექსიძე, აკადემიკოსი**
**ნოდარ მითაგვარია, აკადემიკოსი**
**ანზორ ერქომაიშვილი, ანსამბლ „რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი**
**ჯანსუღ ბაგრატიონი, თბილისის საპატიო მოქალაქე**
**გურანდა გაბუნია, საქართველოს სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი**
**გურამ ნაჭყებია, პროფესორი**
**ბესარიონ ზოიძე, პროფესორი**
**ვალერი ასათიანი, პროფესორი**
**გია მეფარიშვილი, პროფესორი**
**იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი**
**ომარ მუკბანიანი, პროფესორი**
**რამაზ გახოკიძე, პროფესორი**
**აკაკი ლაბარტყავა, პროფესორი**
**ინესა მერაბიშვილი, პროფესორი, საქ. ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი**
**თამაზ შილაკაძე, პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე**
**ლალი კილასონია, პროფესორი**
**ალექსანდრე მეტრეველი, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი**
**ავთანდილ მახარაძე, საქართველოს სახალხო არტისტი**
**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი**
**კოტე ჯანდიერი, სცენარისტი**
**დეკანოზი ვახტანგი**
**დეკანოზი არსენი**
**დეკანოზი ალექსანდრე**
**დიაკვანი ირაკლი კენკებაშვილი**
**თამაზ ხუციშვილი, მხატვარი**
**გულავრ ჭარელიშვილი, ლიტერატორი**
**თათული დოლიძე, მსახიობი**
**თამარ ჩიქოვანი, ჟურნალისტი**
**ალექსანდრე ჩივაძე, ფეხბურთელი**
**მურთაზ ხურცილავა, ფეხბურთელი**
**სერგო კუტივაძე, ფეხბურთელი**
**ლევან ნოდია, ფეხბურთელი**
**გიორგი ჭილაია, ფეხბურთელი**
**ნიკო ლეკიშვილი**
**ელისაბედ ბაგრატიონი, მომღერალი**
**მაია ჯაბუა, მომღერალი**
**ნატო მეტონიძე, მომღერალი**
**ნატალია ქუთათელაძე, მომღერალი**
**ეკა მამალაძე, მომღერალი**
**ქეთევან ლოლაძე, მუსიკოსი**
**თინათინ რუხაძე, მუსიკოსი**
**მანანა მორჩილაძე, მუსიკოსი**
**ნინო ჩაჩავა, მუსიკოსი**
**ლანა ქუთათელაძე, პროდიუსერი**
**დავით ნოზაძე, მომღერალი (ანსამბლი „შვიდკაცა")**
**ნიკოლოზ კირვალიძე, მომღერალი (ანსამბლი „შვიდკაცა")**
**გიორგი ლომთათიძე, მომღერალი (ანსამბლი „შვიდკაცა")**
**ლევან თოლორდავა, მომღერალი (ანსამბლი „შვიდკაცა")**
**ნოდარ მეტრეველი, მომღერალი (ანსამბლი „შვიდკაცა")**
**დავით შიშნიაშვილი, ექიმი, მომღერალი (ანსამბლი „შვიდკაცა")**
**ბიძინა ბათიაშვილი, მომღერალი (ანსამბლი „შვიდკაცა")**
**იასონ მეუნარგია, მომღერალი (ქართული ხმები)**
**კახაბერ გრიგალაშვილი, მომღერალი (ქართული ხმები)**
**გია დავითიანი, მუსიკოსი (ანსამბლი „ალილო")**
**ბექა ჩხაიძე (ანსამბლი „ალილო")**
**ლაშა ღლონტი (ანსამბლი „ალილო")**
**გიგა აბესაძე (ქართული ხმები)**
**ირინე სანიკიძე, პოეტი**
**ხათუნა სირაძე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი**
**ნინო ყიფიანი, იურისტი**

®



### შსს-მ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული ვახტანგ ჩ. განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე, №6-ში მცხოვრებ ირაკლი ცივნარიძეს, რომელიც საკუთარი სახლის აივანზე იდგა, სახლის მოპირდაპირედ მდგომმა ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ერთი ჭრილობა მიაყენა და მიმალვა სცადა. სამართალდამცველებმა ვახტანგ ჩ. შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრში, ცხელ კვალზე დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის იარაღი — პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. დაჭრილი გადაყვანილია ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 236-ე და 19-108-ე მუხლებით).



### ავსტრიელმა სამართალდამცველებმა ინტერპოლის მიერ ძებნილი დავით ჩაგინავა დააკავეს

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს თბილისის, ანკარას და ვენის ინტერპოლების თანამშრომლობის შედეგად, სამართალდამცველებმა ავსტრიის რესპუბლიკაში წითელი ცირკულარით ძებნილი, 1978 წელს დაბადებული დავით ჩაგინავა დააკავეს.

დავით ჩაგინავა, ინტერპოლის წითელი ცირკულარით დაპატიმრების და ექსტრადიციის მიზნით, საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 10 სექტემბრიდან იმყოფებოდა. მას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 1441 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თავისუფლების უკანონო აღკვეთას და წამებას.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მეგის ქარდავამ შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მისადმი დაქვემდებარებული, შს სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა პირებისგან შექმნა სტრუქტურული ფორმის მქონე, მყარად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა. დავით ჩაგინავა წარმოადგენდა ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს. მეგის ქარდავას უშუალო დავალებით ჯგუფის წევრებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, ტყის მასივებში კონკრეტულ პირთა წამების, დაშინებისა და სხვა უკანონო ქმედებების ჩასადენად მოწყობილი ჰქონდათ ე.წ. მიწურები და ხის სადგომები.

დავით ჩაგინავა 2011 წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, აღნიშნული ადგილების გამოყენებით, თანამზრახველებთან ერთად, მეგის ქარდავას დავალებით, უშუალოდ მონაწილეობდა ორი პიროვნების გატაცებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ცემაში, წამებაში, არაადამიანურ მოპყრობასა და გაუპატიურებაში. ზემოხსენებულ ქმედებებს ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ, რათა უდანაშაულო პირებისგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით, დავით ჩაგინავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. ამჟამად დავით ჩაგინავა ინტერპოლის თბილისის ბიუროს მოთხოვნით გამოცემული წითელი ცირკულარისა და ავსტრიის გენერალური პროკურატურის ბრძანების საფუძველზე, იმყოფება საექსტრადიციო პატიმრობაში და მის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

***„ვერსიანიუსი"***

# ქართული არჩევნების შუქ-ჩრდილები და პოლიტიკა ესპანურად

ლევან ღვინიაშვილი

**ერთი ჩემი მეგობარი ათ წელზე მეტია, მადრიდში ცხოვრობს. ის მიამბობდა, ერთხელ მანქანით შუქნიშანთან გავჩერდი და გვერდითა მანქანას უკნიდან სხვა ავტომობილი დაეჯახაო. არანაირი აყალმაყალი, მძღოლი გადმოვიდა, მშვიდად ესაუბრა და მეც მალე წავედი. საღამოს საინფორმაციოში ამ ავარიაზე ვრცელი სიუჟეტი გააკეთეს და გაირკვა, რომ იმ ავტომობილში, რომელსაც დაეჯახნენ, ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იჯდა. მაშინ ვიფიქრე, საქართველოში ვანოს (მაშინ ჯერ კიდევ მერაბიშვილი იყო შს მინისტრი) ვინმე რომ დაჯახებოდა, რა მოხდებოდა-მეთქი. ეს ყველაფერი კი მას შემდეგ გამახსენდა, რაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ზეკაცებსა და მესიებს ნუ ელოდებით და ნუ ეძებთ, საქმე ჩვეულებრივმა ადამიანებმა უნდა აკეთონო. მეორედ კი მაშინ გავიხსენე ეს ამბავი, როცა ვიცე-პრემიერად გახდომის შემდეგ, გიორგი მარგველაშვილმა დაცვაზე უარი თქვა და დიდი შანსი იყო, ესპანური ვარიანტი აქაც განმეორებულიყო, ანუ შუქნიშანზე თქვენს გვერდით მანქანა დაცვის და მთელი მორთულ-მოკაზმულობის გარეშე ვიცე-პრემიერსა და პარალელურად, განათლების მინისტრს გაეჩერებინა.**



არის თუ არა მზად ქართული საზოგადოება ბელადებიდან ჩვეულებრივ, „ადამიანურ“ სახეებსა და სახელებზე გადავიდეს, მომავალი არჩევნები გვიჩვენებს. მანამდე კი იმ კვლევებს გაგაცნობთ, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, არსებულ სურათს ნათელს მოჰფენს და, რაც მთავარია, რამდენიმე კვლევის შედეგებს შემოგთავაზებთ, რადგან გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, კვლევითმა ინსტიტუტებმა ნდობა თითქოს დაკარგეს. ახლა კი ეს კვლევა როგორც არასდროს, ისე ახლოს უნდა იყოს რეალობასთან, რადგან შიში იმისა, რომ სიმართლის თქმისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში, ვინმეს ოჯახს დააწიოკებენ, განულებულია.

სხვათა შორის, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ბოლო ადგილზე გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძეა. მართალია, ქალბატონი ხათუნა ტელევიზიით იშვიათად ჩანს, მაგრამ პირად მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ მტკვრის შენაკადებში დენით თევზჭერა სწორედ მისი მინისტრობის შემდეგ აღიკვეთა და ზოგადად, გარემოს დაცვაში აშკარად სასიკეთო ძვრებია, მაგრამ პიარკლიპებით ყურებს რადგან არ გვიჭედავენ, იმიტომ ჩანს, რომ თითქოს არაფერი კეთდება. ანუ ივანიშვილის მოწოდებამ, საქმე ჩუმად უნდა კეთდებოდესო, ამ შემთხვევაში შედეგი აშკარად გამოიღო.

რაც შეეხება კვლევებს: მოსახლეობის 88% დადებითად პასუხობს კითხვას, „აპირებთ თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას?“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ 27 ოქტომბერს არჩევნებზე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მივა და საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს. ახალი ხელისუფლების ქმედებების განსჯისა თუ შეფასებისთვის ამომრჩეველს სრული ერთი წელიწადი ჰქონდა და კვლევები ცხადყოფს, რომ არჩეულ კურსს მხარს ბევრი უჭერს. ჩატარებული ფსიქოპროექტის მიხედვით, აგვისტოში გამოკითხულთა მიხედვით, მარგველაშვილისთვის ხმის მიცემას 53.4% აპირებს მაშინ, როცა დავით ბაქრაძეს 9.2% უჭერს მხარს, ხოლო ნინო ბურჯანაძეს 7.2%. აგვისტოშივე NDI-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი შედეგი აჩვენა: მარგველაშვილი 39%, ბაქრაძე 18%, ბურჯანაძე 7%. ხანდახან გულითაც გინდა ლუის ნავაროსა და მის NDI-ს ენდო, მაგრამ იგივე ინსტიტუტის მიერ, 2012 წლის თებერვალში, ჩატარებული კვლევა მოვიძიეთ და მაშინ ნაციონალურ მოძრაობას მხარს 47% უჭერდა, ქართულ ოცნებას კი მხოლოდ 10%. მართალია, მაშინ ეს განწყობა მოსახლეობის შიშს დაბრალდა, მაგრამ შიში ახლა გამქრალია და სამ გამოკვეთილ კანდიდატზე 64%-ის გადანაწილება მაინც უცნაურად ჩანს ანუ დანარჩენი, აშკარად მსუყე 36%-ის ბედი, ვგონებთ, თავად ნავაროსთვისაც გაურკვეველია.

იგივე კვლევის მიხედვით, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს თვალს აქტიურად ამომრჩეველთა 72% ადევნებს, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ოქტომბერში დაწყებული საქმის დასრულება ოქტომბერშივე იგეგმება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობას ხმა ამომრჩეველთა 19-მა პროცენტმა მისცა. 21%-იანი ცდომილება, დაგვეთანხმებით, აშკარად გასაოცარია, მაგრამ ეს ციფრი ძალიან ახლოს დგას იმ ციფრთან, რომელიც ახლა გამოაქვეყნა NDI-მ და სადაც წერია, რომ ნაციონალების კანდიდატ დავით ბაქრაძეს მხარს 18% უჭერს. წელან მინისტრების რეიტინგები ვახსენეთ და ისიც სათქმელია, რომ პირველ ადგილზე ირაკლი ღარიბაშვილია. თუ ივანიშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ, მის მიერ შსს-ში ჩატარებულმა სამუშაომ პოლიცია ხალხზე მოძალადედან მათ სამსახურში მდგომ ორგანოდ აქცია და ეს გამოკითხვებშიც აშკარად იგრძნობა. შედეგად, მოსახლეობის 80% ღიად აცხადებს, რომ მათი საკუთრება საიმედოდ არის დაცული და მშვიდად სძინავს.

არ გეგონოთ, რომ „ქართული ოცნების“ მუშაობით ყველა კმაყოფილია. გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 20% აცხადებს, რომ კოალიცია მოსწონდა და ახლა აღარ მოსწონს, თუმცა 29%-მა პირიქით, იმაზე მეტი მიიღო, ვიდრე ელოდა. მხოლოდ 1% ფიქრობს იმას, რომ სასიკეთო არაფერი გაკეთებულა და განაწყენებულებს კოალიციის კანდიდატის მეტოქეები გულზე მჯიღის ცემით ეუბნებიან, ჩვენ აგვირჩიეთ, სამართლიანობას აღვადგენთ, ბიუჯეტსაც თქვენს სამსახურში ჩავაყენებთო, მაგრამ... ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტს ბიუჯეტზე ხელი არ მიუწვდება და ვინმე საკუთარი ჯიბიდან თუ აპირებს ხალხისთვის ფულის დარიგებას, ვერ გეტყვით. უშუალოდ ბაქრაძეს ბაგეთაგან სამართლიანობაზე საუბარი კი, თავმოჭრილი მოზვერისთვის თივის დაყრის მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას, რადგან ნაცსამართალი ცხრა წლის მანძილზე საკმარისად ვნახეთ.

ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების რეიტინგში, აგვისტოშიც და სექტემბერშიც, პირველ ადგილზე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო, მეორეზე მოსახლეობის დასაქმებაა, ხოლო მესამე პოზიციამ ცვლილება განიცადა: თუ აგვისტოში ხალხი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უფრო მეტად ჩიოდა, ახლა სამართლიანობის აღდგენასა და კოჰაბიტაციის დასასრულს ითხოვს. კოჰაბიტაცია კი მხოლოდ იმ შემთხვევაში დასრულდება, თუ კოალიციის კანდიდატი გაიმარჯვებს და ახლავე გეტყვით, რატომ — კოჰაბიტაცია განსხვავებული შეხედულების პოლიტიკური ძალების თანაცხოვრებას, თანაარსებობას ნიშნავს და, მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში, მთავრობა და პრეზიდენტი ერთი გუნდიდან იქნებიან, ხოლო ნებისმიერი სხვა შემთხვევა ისევ კოჰაბიტაციის გაგრძელებას (ოღონდ სხვა ფორმით) ნიშნავს. სწორედ ამიტომ ამტკიცებს მუდმივად მარგველაშვილი, ჩემი არჩევით კოჰაბიტაცია დასრულდებაო და ძნელია შეედავო.

დაპირებები დაპირებად, მაგრამ ქვეყანაში კმაყოფილების რეიტინგის საზომი, რეალურად, ამომრჩეველთა ჯიბეა. გამოკითხვის შედეგებით, საქართველოს მოსახლეობის 50%-ს მიაჩნია, რომ დღეს ბიზნესი თავისუფალია, 22%-ს კი პასუხის გაცემა უჭირს, რადგან ბიზნესით არ არის დაკავებული. ეს მაჩვენებელი წინა წლებში, შესაძლოა, უფრო მაღალი იყო, მაგრამ გუბაზ სანიკიძის სიტყვებს თუ გავიხსენებთ, „როცა საქართველოში ქათამი იკვლება, ბარკალი სააკაშვილს მიაქვს“, ადვილი მისახვედრია, რასთან გვქონდა საქმე და მაშინ თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბიზნესრეკეტი და მონოპოლიები.

იმავე გამოკითხვით, მოსახლეობის 60%-ს მიაჩნია, რომ წინა წელთან შედარებით, მათი ფინანსური მდგომარეობა უცვლელი დარჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სტაბილური გარემოა და იმის ძახილი, ეკონომიკური ვარდნა დაიწყო და მოსახლეობა სულს ღაფავსო, აბსურდია. წინა ხელისუფლება იყო მსოფლიოში ერთადერთი, რომელიც ღიად აცხადებდა, მოსახლეობის მესამედზე მეტი სიღარიბის ზღვარსმიღმაა, მაგრამ ვეხმარებიო. ზემოთქმული 60%-ის გარდა, 22% აცხადებს, რომ მათი შემოსავალი მცირედით, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა და ეს, სავარაუდოდ, საყოველთაო დაზღვევის „ბრალიც“ უნდა იყოს, რადგან ექიმებში დასახარჯი ფული იზოგება.

ყველაზე მთავარი, ალბათ, მაინც ის არის, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ასპარეზი მოსუფთავდა და შანსი იმისა, რომ თავი წარმოაჩინოს, ყველას მიეცა. ამას უნდა დაბრალდეს უპრეცედენტოდ მაღალი პრეზიდენტობის მსურველთა რაოდენობა და ისიც, რომ ტელევიზიები, რეალურად, თანაბრად ანაწილებენ დროს და მხოლოდ ერთი კანდიდატის პიარით არ არიან დაკავებულნი. არც ეკლესიაში ვარდება ვინმე და პატრიარქს არ სთხოვს, მოწოდება გააკეთეო. საბედნიეროდ, ეკლესიისა და პატრიარქის ნდობის რეიტინგი ისევ ურყევია და ინსტიტუტებისადმი ნდობის რეიტინგში პირველობას არ თმობს.

სამაგიეროდ, ამ გამოკითხვაში ბოლო ადგილზე პრეზიდენტია, თუმცა ამას წინათ, პარლამენტარმა ირაკლი სესიაშვილმა სწორად შენიშნა — ბოლო ადგილზე პრეზიდენტის ინსტიტუტი კი არა, მიხეილ სააკაშვილია, არჩევნების შემდეგ კი ეს ყველაფერი შეიცვლება და ამას ყველა ერთად ვნახავთო. და მაინც, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს ბევრი რამის უფლება ეზღუდება, მაგრამ პოსტისთვის ბრძოლა მაინც ძველებურად მიმდინარეობს. ერთადერთი ახალი კადრი ამ ბრძოლაში, რეალურად, მარგველაშვილია და მისი ერთ-ერთი მთავარი მესიჯი — კანონის უზენაესობა — მისასალმებელი.

სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ეჭვი მაქვს, არჩევნების გაყალბებას აპირებენ და თუ ეს მოხდა, ღიად გამოვხატავ პროტესტს და ქუჩაში გამოვალო. გამოკითხვაში ეს კითხვაც დაისვა და მოსახლეობის 43%-ია თანახმა, თავისი ხმა საპროტესტო აქციით დაიცვას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ გაყალბება არ მოხდება. ამას დაგვპირდა პრემიერიც და წინასაარჩევნო განწყობითაც იგრძნობა, რომ მთავრობა უპრეცედენტოდ დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ემზადება. ამ მზადებას თან ახლავს შიში — ამომრჩეველს აინტერესებს, რა იქნება პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ.

„სიმართლე გითხრათ, მეც მეშინია, მაგრამ მეშინია არა იმისა, რა იქნება ჩემს შემდეგ, არამედ იმის, რომ მარგველაშვილს არაფერი მოუვიდეს. მისი დარი ქართულ პოლიტიკაში არ მეგულება, ის იქნება პრეზიდენტი, რომელიც შეძლებს დასახული ამოცანების გადაჭრას და მისი მხარდაჭერა, პირადად ჩემი მხარდაჭერაა“, — ეს განცხადება ივანიშვილმა ექსპერტებთან შეხვედრისას გააკეთა. სხვათა შორის, იმავე ექსპერტებმა არ დამალეს, რომ მარგველაშვილის მინუსებში მთავარი მისი არაცნობადობაა, ანუ ქართველები მიჩვეულები არ ვართ საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ყველაფერში ცხვირს არ ყოფს, არ ცეკვავს, არ დახტის, არ დარბის... ის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანია და ერთ-ერთ მთავარ პლუსად სწორედ ამას უთვლის მოსახლეობა. ამომრჩეველთა 32% დარწმუნებულია, რომ ივანიშვილის გუნდი მის გარეშეც მოახერხებს გაუძლვეს ქვეყანას და ამის მხოლოდ 24%-ს არ სჯერა, დანარჩენებს კი პასუხი არ აქვთ. 50% დარწმუნებულია, რომ ქვეყანა სწორ საგარეო კურსს ატარებს, სწორედ ამდენს არ სურს ურთიერთობების დაძაბვა ჩრდილოელ მეზობელთან და, შესაბამისად, 2008 წლის მოვლენების განმეორება. 26%-ს პასუხი არ აქვს, ხოლო დანარჩენები მთავრობის კურსს არ ეთანხმებიან.

დასასრულ, ამომრჩეველი მომავალი პრეზიდენტისგან, პირველ რიგში, პატრიოტიზმს ითხოვს, მერე ხალხზე ზრუნვას, სამართლიანობასა და მისი ჰუმანურობის იმედიც აქვს. რუსეთის სადღეგრძელოების თქმა ღიად და საჯაროდ როგორი პატრიოტიზმია, თავად განსაჯეთ, როცა ქვეყანა საფრთხეშია და შენ საზღვარზე დგახარ, ქვეყნიდან დაგროვილი დოვლათი გავიტანოო, ესეც განსაჯეთ და... ხშირად ის კი არ არის მთავარი, რამე გქონდეს გაკეთებული, არამედ ის, გაფუჭებული არ გქონდეს. ამ უკანასკნელით კი რამდენი კანდიდატი დაიკვეხნის, თავად გადათვალეთ.

***P.S. ესპანეთით დავიწყე და ესპანეთითვე დავასრულებ: იმ ჩემმა მეგობარმა ბულგარელი ცოლი მოიყვანა და როცა საქართველოში იყვნენ, ვკითხე, თქვენს პრეზიდენტს რა ჰქვია-მეთქი? ბატონი გეორგ პრვანოვიო. რატომ ბატონი-თქო და გაიოცა, აბა, პრეზიდენტი ქვეყნის სახეა და გინებას ხომ არ დავუწყებო... ვინ არ არის საგინებელი, თავად გადაწყვიტეთ...***

ვერსიანიუსი

## შსს-მ „საქართველოს ბანკზე“ ყაჩაღობის ფაქტი გახსნა



თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული გიორგი გ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული მიმდინარე წლის 3 სექტემბერს, თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეიჭრა, პნევმატური იარაღის მუქარით ოპერატორს 400 დოლარი და 560 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა გიორგი გ. ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 28 სექტემბერს თბილისში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ–ის 179–ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

# „მე ბრალს ვდებ ახალ ხელისუფლებას ამ ადამიანის მიზანმიმართულ სიკვდილში!“

**სასჯელაღსრულების სისტემაში, მათ შორის სამედიცინო ნაწილში არსებული მდგომარეობა კვლავ ხელისუფლების აქილევსის ქუსლად რჩება. ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში პატიმარი დენის ყვარელაშვილი გარდაიცვალა. მისი თქმით, პატიმრის გარდაცვალებაში ბრალი სასჯელაღსრულების სამინისტროს მიუძღვის, რადგან ყვარელაშვილს ადეკვატური მკურნალობა არ უტარდებოდა.**

დილით პატიმარი გადაიყვანეს ღუდუშაურის კლინიკაში, სადაც გარდაიცვალა. ეს ადამიანი მძიმე ავადმყოფი იყო.

**„დენის ყვარელაშვილი არაერთხელ გახდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი არა მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების, არამედ ახალი ხელისუფლების დროსაც. ევროპულ სასამართლოში დასრულებულია მისი საქმის განხილვა და არაერთხელ მიეთითა საქართველოს მთავრობას, რომ ამ ადამიანს ჩატარებოდა ადეკვატური მკურნალობა. ახალ ხელისუფლებას მორიგებაც კი შევთავაზეთ, მაგრამ არც ამაზე დაგვთანხმდა. არც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო გადაუვადეს სასჯელი, არც ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, არც მედიკამენტებს აძლევდნენ და მის გაჭირვებულ ოჯახს უხდებოდა მედიკამენტების მიწოდება. მე ბრალს ვდებ ახალ ხელისუფლებას ამ ადამიანის მიზანმიმართულ სიკვდილში“**, — აცხადებს ადვოკატი **მამუკა ნოზაძე** და დასძენს, რომ პატიმარზე ზეწოლას მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორი ახდენდა: **„მასზე ზეწოლას ახდენდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორი. ამის თაობაზე მასაც და მის მეუღლესაც არაერთხელ აქვთ საჩივარი შეტანილი სასჯელაღსრულების სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში. ჩვენ ყველა მტკიცებულება გვაქვს იმისა, რასაც ვამბობთ“.**

ნოზაძის ინფორმაციით, ყვარელაშვილი „ცე“ ჰეპატიტითა და ღვიძლის ფიბროზით იყო დაავადებული და სასჯელს იხდიდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, მაგრამ იქ რემონტი მიმდინარეობს და პატიმრები გადაყვანილნი არიან მე-8 საპყრობილეში, საიდანაც მოხდა მისი ეტაპირება ღუდუშაურის კლინიკაში.

თავის მხრივ, სასჯელაღსრულების სამინისტრო უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს და განცხადებაში აღნიშნავს, რომ უწყებამ დენის ყვარელაშვილს, ჯერ კიდევ 2012 წლის ნოემბერში გაუწია შუამდგომლობა შეწყალებაზე, რაზეც მან პირადი მოტივების გამო უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ, ოჯახის წევრებმა და ადვოკატმა არაერთხელ სცადეს მისი დარწმუნება. სამინისტროს ცნობით, პაციენტს ჩატარებული აქვს ჯანმრთელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც, სადაც მისი მდგომარეობა ექსპერტებმა არ შეაფასეს როგორც „მძიმე“, ამის გარეშე კი, მას სასამართლო სასჯელს არ გადაუვადებდა. ექსპერტიზა ჩაატარა სამხარაულის სახელობის ეროვნულმა ბიურომ, რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურაა:

**„სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ორგანიზებით, პაციენტი 8-ჯერ იყო გაყვანილი სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორის კლინიკებში, მათ შორის ბოლოს, 2013 წლის 24 სექტემბერს დიაგნოსტიკური გამოკვლევის მიზნით. მისი სტაციონირების მიზეზი არაერთხელ გამხდარა ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელოვნურად გაუარესება, რაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ექიმის მიერ არაერთხელაა წერილობით დაფიქსირებული სამედიცინო ისტორიაში. კერძოდ, მან არაერთხელ განაცხადა უარი დაბინძურებული ცენტრალური ვენის კათეტერის ამოღებაზე, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ხოლმე ცხელების ეპიზოდები, ინფექციური გართულებები და შემდგომ უკვე პაციენტის პრეტენზიები არაადეკვატურ მკურნალობასთან დაკავშირებით. სამედიცინო ისტორიაში მოიპოვება ოქმებიც, სადაც**

## რატომ გარდაიცვალა პატიმარი ღუდუშაურის კლინიკაში?



**ექიმი-ინფექციონისტების მიერ დანიშნული ანტიბიოტიკოთერაპიის კურსებზე პაციენტი უარს აცხადებს, ასევე ოქმები, სადაც იგი უარს ამბობს სისხლის ნიმუშების აღებაზე და დაჟინებით ითხოვს მორფის ინექციებს. ჯანმრთელობის გაუარესების აღნიშნული ეპიზოდების პარალელურად, იგი სასჯელისგან გათავისუფლებას ითხოვდა. სამედიცინო ისტორიაში არსებობს ექიმთა მიერ შედგენილი აქტებიც, სადაც ის სამედიცინო სტაციონარიდან ითხოვდა გაწერას, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ექიმების რეკომენდაციებს. მისთვის კომპლექსური დახმარების გაწევის მიზნით, არაერთხელ ჩატარებულა ექიმთა კონსილიუმებიც. სასწრაფო სამედიცინო დახმარების და რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარების მიუხედავად, მსჯავრდებულის გადარჩენა ამჯერად ვერ მოხერხდა. იგი 2013 წლის 27 სექტემბერს, სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში გარდაიცვალა. გვამს ჩაუტარდება ექსპერტიზა, რომელიც გარდაცვალების ზუსტ მიზეზს დაადგენს“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, ა/ო„გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ ხელმძღვანელი, დამოუკიდებელი ექსპერტი **მარინა ბერაძე** აცხადებს, რომ სამწუხარო ფაქტი ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, ხოლო კვალიფიციური პასუხისთვის, მისივე თქმით, ყველა მხრიდან მაქსიმალური ინფორმაცია უნდა გვქონდეს:

**„გარკვეული პასუხები გაცემულია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან და სამედიცინო თვალსაზრისით, ექიმებისგანაც. სასჯელაღსრულების მოსაზრებაა, არასწორი დიაგნოზი დაისვა და ზუსტი ინფორმაცია არ გვქონდაო. ეს გულისხმობს, რომ კომისიის სამკურნალო დასკვნა არაადეკვატური იყო. ადვოკატი სასჯელის გადავადებას ითხოვდა, რაც იმ შემთხვევაში ხდება, როცა შესაბამისი ჩვენება არსებობს. ამას იურისტი ვერ მოგვცემს, სამედიცინო კომისია იძლევა. საერთოდ, არსებობს მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც ექვემდებარება როგორც ჯანდაცვის სამინისტროს, ასევე სასჯელაღსრულების სისტემას, მათ შორის მემორანდუმია გაფორმებული. სწორედ მათ ფუნქციაში შედის, პერიოდულად, პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და მძიმე პაციენტების გამოვლენა, რომლებიც გადავადებას, გათავისუფლებას ან სხვა ღონისძიებას დაექვემდებარებიან. ეს კომისია ადრეც იყო, მაგრამ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რეორგანიზაცია განხორციელდა და კარგად ფინანსდება ბიუჯეტიდან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა მოხდა, ამის თქმა არ შემიძლია, მხოლოდ ვარაუდით კი არ შეიძლება მივუთითოთ — აქ სასჯელაღსრულების სისტემაა დამნაშავე თუ სამედიცინო“.**

ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ ამ სფეროში ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვრჩა არა მხოლოდ სისტემური, არამედ კადრების თვალსაზრისითაც:

**„რამდენი ხელისუფლებაც უნდა მოვიდეს, ადამიანი ვერ გამოიცვლება, თუ თვითონ არ არის გულისხმიერი. სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო კუთხით ბევრი კარგი გარდატეხა განხორციელდა. სისტემური ხედვაა ჩამოყალიბებული, რასაც აქამდე ვერ ვხედავდით, მაგრამ სისტემა კვლავ დახურული რჩება, ძალიან რთულია მონიტორინგის ჩატარება და უნდა დავკმაყოფილდეთ მოწოდებული ინფორმაციით. სასჯელაღსრულებაში უნდა ესმოდეთ, რომ ბევრი საქმეა გასაკეთებელი და დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, მათი საქმიანობა რაც შეიძლება მეტად გააკრიტიკონ. თუ ეს ფაქტიც ისევე ჩაივლის, როგორც ადრე, სრული სიმართლე თუ არ გაირკვევა, ერთ შეცდომას მეორე, მესამე მოჰყვება და იქნება მთელი ჯაჭვი, რაც აუცილებლად ღრმა კრიზისამდე მიგვიყვანს“.**

მანანა ბერაძე აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში უმძიმესი დაავადებების მქონე ადამიანები იმყოფებიან და მათი მდგომარეობის გამოსწორება, როგორც დიდ ფინანსურ დანახარჯებს, ასევე უწყვეტ მეთვალყურეობასა და სამედიცინო მომსახურების მიწოდებას საჭიროებს, საჭიროა აგრეთვე მონიტორინგი, რამდენად ხარისხიანია მათი მომსახურეობა. ამ პროცესში კი ჯანდაცვა და სასჯელაღსრულება ერთად უნდა იყოს ჩაბმული.

**„ამავე დროს, შთაბეჭდილება მრჩება, რომ სერიოზული ანალიზი არავის აინტერესებს. ჩვენ ხარვეზს გვერდიდან უფრო უკეთ ვამჩნევთ, ერთი და იგივე მოვლენა, სხვადასხვა კუთხიდან უნდა შეფასდეს; არ შეიძლება, მხოლოდ ერთი მიმართულებით, ისიც შიგნიდან ყურება. ცივილიზებულ ქვეყნებში საზოგადოებრივი ინსტიტუტები იმიტომ ძლიერდება, რომ განსხვავებული ხედვა იყოს წარმოდგენილი და აქედან იქმნება უკეთესი მომავალი. ფაქტია, ყველაფერი კარგად არ გვაქვს. მაგალითისთვის, წინა ხელისუფლებისას, სასჯელაღსრულების ჩვიდმეტივე დაწესებულებაში ერთდროული მონიტორინგი ჩატარდა და გამოვლინდა, რომ გარდაცვლილ პატიმართა სამოც პროცენტზე მეტს ტუბერკულოზი ჰქონდა. იქ არ იყო დაკონკრეტებული, რომელი ფორმის იყო ეს დაავადება. ახლა როგორ უნდა ვთქვათ, რომ ეს პრობლემები ხელის ერთი მოსმით გადაწყდება? ამიტომ, როცა გარკვეულ პასუხს გვაძლევენ ეს სამსახურები, უნდა განმარტონ, გულგრილობას ჰქონდა ადგილი თუ იმდენად მძიმე იყო, რომ შეუძლებელი გახდა პაციენტის გადარჩენა. ან რატომ მოხდა დაგვიანებული რეაგირება“.**

კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. ვერ არის ყველაფერი კარგად სასჯელაღსრულების სისტემაში. არ შეიძლება ადამიანი, მით უმეტეს, პატიმარი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომლის იქითაც მხოლოდ სიკვდილია. ასევე ეჭვს იწვევს რეალობა, როცა სისტემა კვალიფიციური სამოქალაქო საზოგადოებისთვის კვლავ დაგმანულია. მიუკერძოებელი მონიტორინგის, არსებული რეალობის სიღრმისეულად შესწავლის გარეშე, სისტემის მახინჯ მხარეებს ვერ დავინახავთ და გამოსწორების გზებსაც ვერ დავსახავთ. პატიმარ დენის ყვარელაშვილის გარდაცვალება ბოლო ტრაგიკული სიგნალი უნდა იყოს, რომ უმძიმესი მემკვიდრეობის გამოსასწორებლად ქმედითი მუშაობა დაიწყოს.

## ვერსიანიუსი

### თანაინვესტირების ფონდში ბიძინა ივანიშვილის კაპიტალი 1 მილიარდ აშშ დოლარამდეა

ფონდის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ბაჩიაშვილის განცხადებით, თანაინვესტირების ფონდის მობილიზებული კაპიტალის ოდენობა 6 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

**„ფონდი ქართველ და უცხოელ ინვესტორებს დააფინანსებს, პრიორიტეტული მიმართულებები კი ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, წარმოება და ლოჯისტიკა იქნება, თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება ჩვენი საქმიანობა“**, – განაცხადა ბაჩიაშვილმა.

მისივე განმარტებით, ფონდის მიერ პროექტების დაფინანსების თანაფარდობა 25-დან 75 პროცენტამდე იქნება. რიგ შემთხვევაში კი, შეიძლება, ფონდმა თავად დაიწყოს პროექტი. აღსანიშნავია, რომ თანაინვესტირების ფონდი 7-დან 9 წლამდე ვადაზე გათვლილ პროექტებზე გააკეთებს აქცენტს.

*„პირველი“*




### მთავრობა ანაკლიის პორტის პროექტზე მუშაობს

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თანაინვესტირების ფონდის პრეზენტაციაზე განაცხადა.

**„ისეთ გლობალურ პროექტებს, როგორიცაა ანაკლიის პორტი, პარალელურ რეჟიმში განვიხილავდით. თქვენ იცით, რომ საქართველო გახლავთ სატრანზიტო ქვეყანა და ეს ფუნქცია უნდა შევასრულოთ იდეალურად და საუკეთესოდ, ამისთვის უნდა აშენდეს პორტი, რომელსაც ექნება წელიწადში 110 მლნ ტონამდე გამტარიანობა. სამი პორტის ვარიანტი გვქონდა, ესაა საუკეთესო, რომელიც იმუშავებს 12 თვის, 24 საათის განმავლობაში. ასეთი ფონდის დაფუძნებით პორტის მშენებლობა გაცილებით იოლი იქნება. პორტებზე სულ საუბრობდა წინა ხელისუფლება, მაგრამ მისი არც პროექტი არსებობდა და არც ნორმალური დაფინანსების ვარიანტი, ჩვენ ეს ყველაფერი რეალობაში შეიძლება, მოვიყვანოთ. თქვენ იცით, რომ სააკაშვილის აკვიატებული იდეაა ლაზიკის პორტი, თუმცა როცა გავარჩიეთ სამი ვარიანტი, ლაზიკა გაცილებით აგებს ანაკლიის პორტთან. ეს არის სიმძლავრით რამდენჯერმე უფრო დიდი, ამავე დროს, არ გვიწევს ჭაობის ამოშრობა, რამაც შეიძლება, დიდი კატაკლიზმები გამოიწვიოს. ასეთი პორტის მშენებლობის დაწყებისთვის მიდის სერიოზული მზადება, დოკუმენტები მუშავდება, უკვე ვმუშაობთ კონსორციუმის შეკვრაზე, პროექტის სტრუქტურირებასა და შესაბამისად, დაფინანსებაზე. ეს პროექტი შეიძლება, უმოკლეს დროში გახდეს ყველაზე დიდი პროექტი საქართველოში და ყველაზე რეალისტური“**, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

*„პირველი“*



# ნიკოლას კლეიტონი: „ქართველები არჩევნებისთვის იმ მღელვარების ფონზე ემზადებიან, თუ რა მოჰყვება არჩევნებს“



## Georgians prepare for election amid worries about what will follow

*As a bitter rivalry between the country's leaders fades, a mysterious equity fund is raising questions about the future.*

Facebook 18 +1 0 Tweet 11 0 29

TBILISI, Georgia — Whatever happens in this country's presidential election next month, one matter is certain: the political landscape will change after the two clashing personalities that have recently defined it officially leave government.

Outgoing President Mikheil Saakashvili, who isn't running because his term limit is expiring, says he plans to promote the country's wine industry. His bitter rival, Prime Minister Bidzina Ivanishvili, has also pledged to step down just one year into his tenure after achieving his stated goal of ousting Saakashvili's party from power.

ENLARGE

Ivanishvili: Here to stay? (Vano Shlamov/AFP/Getty Images)

**„ქართველები არჩევნებისთვის იმ მღელვარების ფონზე ემზადებიან, თუ რა მოჰყვება არჩევნებს“,** — ამ სათაურით აქვეყნებს ნიკოლას კლეიტონის სტატიას გამოცემა Global Post. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, რაც არ უნდა მოხდეს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ერთი რამ ცხადია: საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვლება მას შემდეგ, რაც ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული პიროვნება ხელისუფლებას დატოვებს.

**„პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის გამო მიდის ხელისუფლებიდან, აცხადებს, რომ ღვინის ინდუსტრიის ხელშეწყობას გეგმავს. თანამდებობიდან გადადგომის პირობა დადო მისმა მწვავე მეტოქემაც, რომელმაც ასეთი გადაწყვეტილება მიზნის მიღწევიდან – სააკაშვილის პარტიის ხელისუფლებისთვის ჩამოშორებიდან — ერთი წლის შემდეგ მიიღო“,** — წერს ნიკოლას კლეიტონი.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი ქვეყანას ათწლეულის განმავლობაში მართავდა. მისივე თქმით, კოლუმბიის უნივერსიტეტში განათლებამიღებული სააკაშვილი ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდა, რომელმაც ბოლო მოუღო კორუფციულ, ექსსაბჭოთა რეჟიმს.

**„მისი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ბევრი წარმატებული რეფორმა განხორციელდა, რომელმაც ხელი შეუწყო დაშლილი ეკონომიკის აღდგენას, მაგრამ კრიტიკოსები მის მმართველ ელიტას ხელისუფლების მონოპოლიზებასა და კანონის უზენაესობის გათელვაში ადანაშაულებდნენ, ასევე საცხოვრებელი პირობების ვერგაუმჯობესებაში“,** —აღნიშნავს ნიკოლას კლეიტონი.

როგორც სტატიის ავტორი წერს, განმარტოებული ფილანტროპი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი კი, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა, ასპარეზზე 2011 წელს გამოჩნდა და სააკაშვილის საწინააღმდეგო ოპოზიციურ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. აგრესიული კამპანიის შემდეგ მისმა კოალიციამ შარშან საპარლამენტო არჩევნები მოიგო.

**„ორ ლიდერს შორის გაჩაღებულმა საჯარო დაპირისპირებამ ქვეყნის სტაბილურობის შესახებ ეჭვები წარმოშვა, მაგრამ გაურკვევლობა — ვინ დაიკავებს მათ ადგილს მათი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ — კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს მომავალთან დაკავშირებით. ბევრი შიშობს, რომ ივანიშვილი თავისი ქონებისა და გავლენის გამოყენებას გეგმავს, ქვეყნის მმართველობა რომ გააგრძელოს, თუმცა ამჯერად, კულისებიდან და ანგარიშვალდებულების გარეშე“,** — წერს ნიკოლას კლეიტონი და აღნიშნავს, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი სკეპტიკურად უყურებს ახალშექმნილ, 6-მილიარდიან „საქართველოს თანაინვესტირების ფონდსაც“, რომელიც ქვეყნის განვითარების პროექტების დასაფინანსებლად შეიქმნა.

**„არასამთავრობოებსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს კითხვები უჩნდებათ ფონდის ძირითად დამფინანსებლებთან, რომელთა უმრავლესობაც ნაკლებად გამჭვირვალეა. ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ დიდძალი თანხა ივანიშვილს მისცემს შესაძლებლობას, მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის მონოპოლიზება, იმავდროულად კი, ასპარეზსმიღმა მყოფი, შეინარჩუნებს წვდომას პოლიტიკურ თანხებზე“,** — წერს ნიკოლას კლეიტონი.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს საქართველოში მოღვაწე უცხოელი ბიზნესმენის სიტყვებს, რომელიც აცხადებს, რომ სავარაუდოდ, დროის მცირე მონაკვეთში საქართველოს ეკონომიკა დიდი რაოდენობით თანხებს შთანთქავს, რაც სხვა ინვესტორების შევიწროების რისკს გამოიწვევს.

თუმცა, ნიკოლას კლეიტონი აღნიშნავს, რომ როგორც მასთან საუბარში „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ბაჩიაშვილმა განაცხადა, პრემიერ-მინისტრი პოლიტიკიდან იმიტომ მიდის, რომ ქვეყანას მისცეს საშუალება, ინდივიდუალურმა ლიდერებმა დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტები შექმნან.

**„ბაჩიაშვილი აცხადებს, რომ ფონდი გამჭვირვალე იქნება და მისი ფინანსური ინფორმაციის დიდი ნაწილი ონლაინ იქნება ხელმისაწვდომი. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ რაც უნდა იყოს, საქართველომ უნდა შეძლოს ფულის სწორად გამოყენება. ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 3,508 დოლარია და ამ მაჩვენებლით საქართველო ევროპის ულარიბეს ქვეყნებს შორისაა, 2012 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით კი, მცირედით ჩამოიტოვა უკან კოსოვო, სომხეთი და მოლდოვა“,** — აღნიშნავს ნიკოლას კლეიტონი.

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ 1990-იან წლებში საქართველოს საბჭოური პერიოდის საწარმოთა უმრავლესობა განადგურდა, სოფლის მეურნეობის სექტორი კი განუვითარებელი და არაეფექტური დარჩა, ამიტომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების დასაწყებად უცხოური ინვესტიციები სჭირდება.

ნიკოლას კლეიტონი ასევე ციტირებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლის ევა-მარი ანდერსონის კომენტარს, რომელიც აცხადებს, რომ 2011 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ შექმნა „საპარტნიორო ფონდი“, რათა გამოეყენებინათ დივიდენდები სახელმწიფო საწარმოების დასაფინანსებლად კერძო ინვესტორებთან ერთად, მაგრამ როგორც ევა-მარი ანდერსონი აცხადებს, იმის გამო, რომ ფონდი ნაკლებად გამჭვირვალე იყო, პოტენციურმა ინვესტორებმა უარი თქვეს ინვესტირებაზე.

**„საბოლოოდ, ფონდმა ვერ მიიზიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ამის ნაცვლად, პოლიტიკური პროექტების ყულაბად იქცა“,** — აცხადებს Global Post-თან საუბრისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელი.

მარი-ევა ანდერსონი ასევე აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მაღალჩინოსანი თითქმის ყველა წინადადებაში იყენებს სიტყვას „გამჭვირვალობა“, რეალურად, ნაკლებად აქვთ გამოცდილება, „თანაინვესტირების ფონდი“ ისე აამუშაონ, რომ უფრო მეტი სარგებელი მიიღონ, ვიდრე დანაკლისი.

**„თუმცა, ვინაიდან ქართველები ახალი ხელისუფლებისთვის ემზადებიან, ახალი ფონდი ბევრისთვის უფრო მეტად მღელვარების საგანია. საერთაშორისო თანამეგობრობამ შეშფოთება გამოთქვა ივანიშვილის ბევრ ქმედებაზე, მათ შორის სააკაშვილის პარტიის რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის წამოწყების გამო. ბევრი წუხს, რომ ახალმა ხელისუფლებამ მხოლოდ ახალი ელიტა გაამყარა, რომელიც სააკაშვილის ეპოქის შემდგომ დაიკავებს მათ ადგილს“,** — წერს ნიკოლას კლეიტონი.

***„ინტერპრესნიუსი“***



# სახელისუფლო კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში

პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის განკარგულებით, მუშაობა შეაჩერა სახელმწიფო სამსახურების დიდმა ნაწილმაც. ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სენატმა და კონგრესმა მთავრობის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით შეთანხმება ვერ მოახერხეს.

აშშ-ს ფედერალურ სახელმწიფო დაწესებულებებს დაფინანსება 17 წლის განმავლობაში პირველად შეუწყდათ. აშშ-ს კონგრესმა ბიუჯეტის პროექტი მას შემდეგ ჩააგდო, რაც დემოკრატები და რესპუბლიკელები ვერ შეთანხმდნენ. რესპუბლიკელების უმრავლესობამ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ჯანდაცვის რეფორმის განხორციელების ერთი წლით გადადება მოითხოვა. სენატმა კი, სადაც უმრავლესობაში დემოკრატები არიან, აღნიშნული ქმედების საპასუხოდ, ბიუჯეტის პროექტი ჩააგდო.

მსგავსი რამ ქვეყანაში 17 წლის განმავლობაში პირველად ხდება. დოკუმენტის მიღებამდე 700 ათასი ადამიანი უხელფასო შვებულებაში გავა. მუშაობას მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ორგანოები გააგრძელებენ. სამხედროებს ბარაკ ობამამ მიმართა და განაცხადა, **„როგორ პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა ვიმუშავე იმისთვის, რომ დავრწმუნებულიყავი, არსებობს ყველა რესურსი, მოქმედების სტრატეგია და მხარდაჭერა იმისთვის, რომ თქვენ შეასრულოთ მოვალეობა, რომელიც საკუთარმა ქვეყანამ დაგაკისრათ. სამწუხაროდ, კონგრესმა საკუთარი მოვალეობა ვერ შეასრულა და ბიუჯეტი ვერ მიიღო. ამის გამო მთავრობის დიდი ნაწილი დავითხოვეთ, ვიდრე ბიუჯეტი არ დამტკიცდება“.**

მოსახლეობისადმი სატელევიზიო მიმართვაში კი აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა საზოგადოებას ჰპირდება, რომ ყველაფერს იღონებს, რაც შეიძლება მალე გადაილახოს მთავრობის დაფინანსების კრიზისი.

**„ერთი სული მაქვს, როდის გავმართავ მოლაპარაკებებს კონგრესის წევრებთან გრძელვადიანი ბიუჯეტის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას. გავაგრძელებ კონგრესთან მუშაობას, რათა რაც შეიძლება მალე დავაბრუნოთ სამსახურებში“,** — განაცხადა აშშ-ს პირველმა პირმა თეთრი სახლიდან გაკეთებული მიმართვისას და აღნიშნა, რომ კონგრესის გადაწყვეტილება ზიანს მოუტანს უამრავ ადამიანს და პოსტკრიზისული მდგომარეობის შემდეგ უარყოფითად აისახება ამერიკის ეკონომიკის აღდგენაზე, — **„ამერიკელი ხალხის რთული გზით მოპოვებული მიღწევების საფრთხის ქვეშ დაყენება უპასუხისმგებლობის ზეობაა და ეს არ უნდა დავუშვათ!“**

***„ვერსიანიუსი“***

# Washington Post: „რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ზეწოლას ახდენს, რათა მის ეკონომიკურ კავშირს შეუერთდნენ“




**„რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ზეწოლას ახდენს, რათა მის ეკონომიკურ კავშირს შეუერთდნენ“,** — ამ სათაურით აქვეყნებს Washington Post სარედაქციო საბჭოს წერილს.

როგორც ამერიკული გამოცემის სარედაქციო საბჭო აღნიშნავს, რუსეთი აშინებს და ყველანაირად ცდილობს, დაბლოკოს საქართველოს, მოლდოვას, უკრაინისა და სომხეთის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და ნაცვლად ამისა, მათ საკუთარ საბაჟო კავშირში გაწევრიანებას აიძულებს.

**„ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, რუსეთის მხრიდან, სადამსჯელო ღონისძიებებისა და მოსყიდვის სამიზნე იყო საქართველო, სომხეთი და უკრაინაც. კრემლის მიზანია, დაბლოკოს ეს ქვეყნები ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დასრულებისგან და აიძულოს ისინი, გაწევრიანდნენ რუსეთის საბაჟო კავშირში, რომელიც ევროკავშირს გაუწევს მეტოქეობას და შესაძლებელს გახდის პუტინის ოცნების რეალიზებას — შექმნას რაღაც საბჭოთა კავშირის მსგავსი“,** — წერს Washington Post-is სარედაქციო საბჭო.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, პუტინმა გამარჯვებას ამ თვის დასაწყისში მიაღწია, როცა სომხეთი, რომელიც რუსეთზე ენერგეტიკისა და უსაფრთხოების თვალსაზრისითაა დამოკიდებული, დანებდა და განაცხადა, რომ შეუერთდება ევრაზიულ კავშირს, რომელშიც ჯერჯერობით, დიქტატორული ბელორუსი, ყაზახეთი და რუსეთი არიან გაწევრიანებულნი.

**„მაგრამ მოლდოვა, უკრაინა და საქართველო სიმტკიცეს ინარჩუნებენ და აცხადებენ, რომ გააგრძელებენ ევროკავშირთან შეთანხმებებს ნოემბერში დაგეგმილ რეგიონულ სამიტზე. ნამდვილად გაბედული არჩევანია სამივე სახელმწიფოსთვის. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და თავისუფალი სავაჭრო სარგებლით, რომელიც მას მოჰყვება, სამივე ქვეყანამ შორსმიმავალი რეფორმები უნდა განახორციელოს არა მხოლოდ ეკონომიკურ საკითხებში, არამედ ისეთ საკითხებშიც, როგორც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და სისხლის სამართლის კოდექსია. მათ ასევე პოლიტიკური ტესტები აქვთ ჩასაბარებელი: საქართველომ თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გამართოს. უკრაინამ კი ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ამჟამინდელი ხელისუფლების ოპონენტის, დაპატიმრებული იულია ტიმოშენკოს საკითხი უნდა გადაჭრას“,** — წერს Washington Post-ის სარედაქციო საბჭო.

***„ინტერპრესნიუსი“***

# რეპორტაჟი ჰერეთიდან ანუ რატომ არ შეიძლება უკან დაბრუნება




მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**საქართველოს აღმოსავლეთ კარიბჭე ჰერეთია, რომელიც ერთ დროს ქართულ სამეფოს წარმოადგენდა. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, დღეს ეს კუთხე ლაგოდეხის რაიონში მთავრდება, საიდანაც მეზობელი აზერბაიჯანი (საინგილოს რეგიონი) იწყება. ჩვენ ადგილზე ჩასვლა და მცირე რეპორტაჟის მომზადება გადავწყვიტეთ.**

პატარა ქალაქ ლაგოდეხს კავკასიონი გადმოჰყურებს. მდიდარი ბუნებისა და რესურსების მიუხედავად, რაიონი ტაატით ვითარდება. ბოლო ორ ათწლეულში, აქ დიდად არაფერი შეცვლილა. თბილისური გაგებით, ეს არის ჩიხი, საიდანაც გამოსავალი ჯერ არ ჩანს. თითო-ოროლა ახალი შენობა-დაწესებულება, მათ შორის სადაზღვევოს მიერ აშენებული კლინიკა, საერთო სურათს ვერ ცვლის. მეზობელ ქვეყანასთან აქტიური სასაზღვრო ურთიერთობა, ლამის, დაკონსერვებულია და განვითარების პერსპექტივაზე ესეც უარყოფითად აისახება. ისევე, როგორც საინგილოში, აქაც ნიადაგი მდიდარია და მოსახლეობაც, დიდწილად, მოსავლიანობაზეა დამოკიდებული. ქალაქიდან სასაზღვრო პუნქტამდე რამდენიმე წუთის სავალია. გზაში, მარცხენა მხარეს, მდინარის ხეობაში პატრიოტთა, აწ უკვე ნაქალაქარს წააწყდებით. ბანაკი ყოველწლიურად დამსვენებლებს სხვადასხვა რეგიონიდან იღებდა, დღეს კი ობიექტი გაჩერებულია და, როგორც ჩანს, „წამყვანი პოლიტიკური ძალების“ კინკლაობას ეწირება. ყველა მიმართულებით უიმედოდ გაჩერებულ რაიონში ნებისმიერი, თუნდაც სეზონური აქტივობა მისასალმებელი უნდა იყოს. დაზუსტებით, რა ხდება ვერ გეტყვით, მაგრამ ობიექტი რომ მყარად გაჩერებულია, ეს პირველი ნახვისთანავე თვალშისაცემია.

მივადექით სასაზღვრო პუნქტის ქართულ ნაწილს. ყველაფერი თანამედროვედ და სადადაა გაკეთებული. რამდენადაც მახსოვს, თავის დროზე, ეს ინფრასტრუქტურა ევროკავშირის რეკომენდაციით გაკეთდა. ყველაფერი, ორი მეგობარი სახელმწიფოს ურთიერთობაში ჯდება. პასპორტებს სასაზღვრო პატრულის თანამშრომელს ვაბარებთ, ბეჭდებს გვირტყამენ, სურათებს გვიღებენ და გვიშვებენ. ისე რომ, გადასვლისას საბაჟო პუნქტში ცალ-ცალკე ბარგსაც არ გვიმოწმებენ. როგორც ჩანს, მიკროავტობუსი ერთიანად ტარდება ამ მიზნით. პროცედურების დასრულების შემდეგ, სასაზღვრო ხიდს ფეხით გადავდივართ. მდინარის პირას ქართულ მხარეს მიტოვებული საბაზრო ინფრასტრუქტურაა. რკინის კონსტრუქციები უკვე დაჟანგულია და ცდილობს, დროთა სიავეს გაუძლოს.




**წლების წინ, აქ სასაზღვრო სავაჭრო ობიექტი უნდა გახსნილიყო, სადაც ორივე მხრიდან რეგიონის მოსახლეობა აქტიურ აღებ-მიცემობას გააჩაღებდა. ეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა და ახალ პერსპექტივებს გამოაჩენდა, მაგრამ აზერბაიჯანულმა მხარემ ამ წამოწყებაზე უარი თქვა, რადგან მათი პოზიციით, დემარკაცია ჯერ ბოლომდე დასრულებული არ იყო და არავინ იცოდა, საზღვარი რომელ მონაკვეთზე გაივლიდა. ამ მოსაზრებას გარკვეული ლოგიკა ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, ბაზარი მდინარე მაწიმის აქეთ, ქართულ მხარე მდებარეობს და გაუგებარია, ასეთი სადავო რა უნდა ყოფილიყო. ასეა თუ ისე, დაწყებული საქმე გაჩერდა, ბაზარი არ გახსნილა და დაჟანგებული რკინის კონსტრუქციები დღემდე პატრონს ელის.**

გადავდივართ მდინარე მაწიმზე, რომელიც სათავეს კავკასიონის მაღალი კალთებიდან იღებს. მეორე მხარეს გვხვდება სასაზღვრო ქალაქი, რომლის ანალოგი მსოფლიოში, ალბათ, ბევრგან არ მოიძებნება. დასაწყისიდანვე ბარგაკიდებულებს ფეხით გვიწევს იმხელა მანძილის გავლა, რომ იძულებითი ფიზიკური ვარჯიში გარანტირებული გვაქვს. თან ცალკე გამოყოფილი სავალი ბილიკი ისე ვიწროა, ორი ადამიანი ერთად ჩანთებით გასვლას ვერ ახერხებს. „ზედმეტი“ ბარგი წინ ან უკან უნდა დაიკავო, რომ ამ გვირაბში რამენაირად გააღწიო. ვის რაში დასჭირდა ეს სირთულე, ყოვლად გაუგებარია. ამას მხოლოდ ერთი მიზანი შეიძლება ჰქონდეს, მგზავრის გაწვალება, მეტი არაფერი. წარმოუდგენელია, ეს გადაწყვეტილება ხალხზე მაფიქრალ ადმინისტრაციას მიეღო. აქ რაღაც სხვა გათვლასთან გვაქვს საქმე, რის მოტივაციასაც, ალბათ, ვერ გავიგებთ. დეკლარირებულად, ორივე სახელმწიფო ევროპული ფასეულობებისკენ მიისწრაფვის. საბოლოო ნავთსაყუდელი, ალბათ, ევროკავშირია. იქ, მოგეხსენებათ, სახელმწიფო საზღვრებს ლამის სიმბოლური დატვირთა აქვს მინიჭებული. ამ დროს, მეზობელ ქვეყნებს არნახული სასაზღვრო ინფრასტრუქტურა აშორებს და აცალკევებს. ძნელია იფიქრო, რომ ეს სახელმწიფო შენთან ერთად ევროპული მიმართულებით განვითარებას აპირებს, არსებული სურათი ნამდვილად საწინააღმდეგოს მოწმობს. ჩვენ არ ვსაუბრობთ სხვა მონაკვეთებზე არსებულ პრობლემებზე, რასაც საშველი არა და არ დაადგა.

აზერბაიჯანულ მხარეს სასაზღვრო პროცედურები, წინა წლებთან შედარებით, ბევრად მოწესრიგებულია. საბაჟოზეც ყველაფერი ცივილურად მიმდინარეობს, ადრინდელი ღია ვაჭრობა აღმოფხვრილია. პროგრესი სახეზეა, ასეც უნდა იყოს; მეგობრები განწირულნი არიან ერთად განვითარდნენ, მხარი დაუჭირონ და აჩვენონ უკეთესი გამოსავალი მაშინ, როცა უკან საბჭოთა წარსულია, თავისი მძიმე მემკვიდრეობით. ქართულმა მხარემ ინფრასტრუქტურა, მიდგომები წლების წინ მოაწესრიგა და ეს მეორე მხარისთვის გარკვეული მაგალითი აღმოჩნდა, თუმცა ახალი პუნქტის მშენებლობისას აშკარად გადაამლაშეს. თუ ვინმეს არ სჯერა, ერთი ჩასვლა და ამ „მახინის“ გავლა საკმარისი იქნება. ერთ-ერთ მგზავრს ზღვის გოჭის გადაყვანა სურს. მებაჟეს ვერ გაუგია, ეს რა ცხოველია. გასაგები მიზეზების გამო, გოჭს თუ ღორს აქ არ ახსენებენ. მებაჟე, ინსტრუქციის თანახმად, სანიტარულ დასკვნას ითხოვს „ვირთხის“ ჯანმრთელობაზე. არ აქვთ და ჩინოვნიკს მდგომარეობაში შესვლას სთხოვენ. მაინც კავკასიაა და ადამიანური დამოკიდებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მებაჟე გადაყვანის ნებართვას აძლევს.

ბელაქნის რაიონში გზისპირა, კავკასიის დიდ კედელს მივუყვებით, რომელიც ისტორიული ძეგლების ნუსხაშია შეტანილი. თავის დროზე, ჰერეთის ბარის მოსახლეობას ეს კედელი სხვადასხვა ლეკური ტომების შემოსევებისგან იცავდა. დღეს ამ რაიონში მხოლოდ ერთი ქართული სოფელი, ითითალა შემორჩა. მას ახლო ურთიერთობა აქვს სასაზღვრო სოფელ ერისიმედთან, სადაც აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. ამ სოფელზე ადგილობრივი ადმინისტრაციის ზეწოლა შედარებით შემცირებულია, ალბათ, საქართველოსთან სიახლოვის გამო. ითითალის სკოლაში ძლიერი ქართული სექტორია და ამ ხალხის გადაგვარება არცთუ იოლი საქმეა.

გზისპირა ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, მაგრამ ასფალტის მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. „დროებითი საკერებლების პოლიტიკა“ აქაც ძალაშია, თუმცა ამხელა ბუნებრივი რესურსის მქონე რესპუბლიკას, წესით, მთავარი მაგისტრალის გაკეთება არ უნდა უჭირდეს. იქვე, გვერდით, ნახავთ მოწესრიგებულ სამხედრო ნაწილებს, სადაც გარედან ყველაფერი ლამაზია, რეალურად კი, აზერბაიჯანულ არმიაში არსებული მდგომარეობა დღესაც კრიტიკას ვერ უძლებს. რეგიონის ცენტრი ზაქათალაა (ისტ. ფიფინეთი). რაიონში ორი ქართული დასახლებაა, დაბა ალიაბადი (ისტორიული ელისენი) და სოფელი მოსული. ალიაბადში კვირაობით დიდი ბაზარი მუშაობს, სადაც სავაჭროდ მთელი რეგიონის მოსახლეობა იკრიბება. სასაზღვრო მდინარეზე ბორანი მუშაობდა და კონტაქტი იოლი იყო. ახლა ეს კავშირი შეწყვეტილია, რადგან ალაზნისპირას მესაზღვრეები პატრულირებენ. ძველ, კარგ დროს ჩაბარდა, როცა ქედებიდან (ქვემო ქედი, ფიროსმანი, ზემო ქედი, არხილოსკალო და ა.შ.) გლეხები მოსულზე, ალიაბადზე გამოივლიდნენ და ბაზარში დიდ აღებ-მიცემობას აჩაღებდნენ. დამოუკიდებლობის მოპოვებამ ამ პროცესზე საპირისპირო გავლენა მოახდინა. ალიაბადის ბაზარში ნახავთ საქართველოსდროშიან ახალგაზრდებს, რომელთაც „პატრიოტთა ბანაკები“ აქვთ გავლილი.

რეგიონში ძირითადი შემოსავალი თხილისა და კაკლისგან მიიღება. ერთი კილოგრამი თხილი სამ ლარამდე ღირს. ვისაც დიდი ბაღები მოეპოვება, შემოსავალიც შედარებით მეტი აქვს, დანარჩენები სიმბოლური შემოსავლებით იფარგლებიან. ოჯახების გაყოფასთან ერთად, წილების რაოდენობაც მცირდება, ამიტომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უცხოეთში, ძირითადად, რუსეთშია გადახვეწილი. იქ ფიზიკური სამუშაოთიც შეუძლებელია ცხოვრება და ამის გამო, ბევრი იქ ამჯობინებს გადაბარგებას. მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანია ევროპაში გასული, აქაურთათვის მთავარი ბაზარი, ამ მხრივ, მაინც ჩრდილოელი მეზობელია, გამომდინარე არცთუ უმნიშვნელო პოლიტიკური შედეგებით. სახელმწიფო სამსახურებში საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილია დასაქმებული ისევე, როგორც საქართველოში.

**ხელფასი-პენსიები შედარებით მაღალია. საშუალო პენსია 180 მანათს, დაახლოებით, 350 ლარს უტოლდება. აზერბაიჯანული რესურსები ამის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ჩვენში, ამ მხრივ, არსებული სავალალო მდგომარეობა, დამშვიდების საშუალებას მაინც არ იძლევა. რეგიონში სახელმწიფო ორგანიზაციები ისევ ძველ ყაიდაზე მუშაობენ. წვრილი ქრთამი, კორუფცია ისევ ძალაშია და ზოგ შემთხვევაში, ახალ სიმაღლეებზეა აყვანილი.**

მედიცინაში არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომ ვისაც შეუძლია, მეზობელ სახელმწიფოებში ამჯობინებს სამკურნალოდ გამგზავრებას. პოლიციის სისტემა მხოლოდ გარეგნულადაა შეცვლილი. კარგი მანქანების და აღჭურვილობის უკან ძველი „გაიშნიკები“ იმალებიან, თავიანთი ჩვეული ვნებებით. ამ მხრივ, რეგიონსა და ქვეყანას ერთი დიდი ნახტომი სჭირდება, რასაც მხოლოდ ცენტრში განხორციელებული ცვლილებები თუ მოიტანს.

აზერბაიჯანშიც მალე ახალ, „ძველ“ პრეზიდენტს აირჩევენ. მთავარი ოპოზიციონერი კანდიდატი ქვეყანაში დაჭერის შიშით ვერ ჩადის და შეხვედრებს მეზობელ ქვეყნებში მართავს. ადგილობრივები ამბობენ, რომ ისევ ალიევი სჯობს, რადგან **„ახლანდელი მმართველები მაძღრები არიან და მეტს აღარ შეჭამენ. სათავეში მოსული ახლები კი მშივრები იქნებიან და კარგა ხანს საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოუნდებიან, სანამ ხალხზე ზრუნვას დაიწყებენ“.** მარტივი, უნივერსალური ლოგიკაა, რომლის მსგავსი უახლოეს წარსულში ჩვენშიც მყარად იყო მოკიდებული. ერთი სიტყვით, უახლოეს მომავალში, რეგიონში, ზოგადად, აზერბაიჯანში კარდინალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. აზერბაიჯანის დემოკრატიული განვითარება პირდაპირ კავშირშია საქართველოს ინტერესებთან. რაც თბილისმა უახლოეს წარსულში გაიარა, ბაქოსაც მოუწევს თავისი მახასიათებლებით, რა თქმა უნდა, მაგრამ ორი ქვეყანა, უბრალოდ, განწირულია, რომ ერთად, ევროპული მიმართულებით იაროს, სადაც მთავარი ადამიანი და მისი უფლებებია.










# რუსული მედია გიორგი მარგველაშვილის განცხადებას ეხმაურება



რუსეთში საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის გასამართლებული საქართველოს მოქალაქეები წინასაარჩევნო ბატალიების ცენტრში აღმოჩნდნენ, — ასე ეხმაურება რუსული გამოცემა „იზვესტია“ გიორგი მარგველაშვილის 28 სექტემბერს გაკეთებულ განცხადებას, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთში საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული საქართველოს 19 მოქალაქის ბედით დაინტერესდება.

**„სამშობლოში მათი დაბრუნება თბილისის ვალია და ვიმუშავებ ამ ამოცანაზე, მით უმეტეს, რომ საქართველოსთვის მათ გადმოცემას დაკავებულთა ნათესავებიც მოითხოვენ“,** — ციტირებს რუსული გამოცემა გიორგი მარგველაშვილის კომენტარს.

„იზვესტია“ სანდო წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს, საქართველოს დიპლომატიურ წრეებში აცხადებენ, რომ გასაგები მიზეზების გამო არ გასაჯაროვდება საკითხი, თუ როგორ მოხდება დაკავებულთა გათავისუფლება. მათივე განცხადებით, საკითხზე მუშაობა ხმაურის გარეშე უნდა წარიმართოს.

რუსული გამოცემა ასევე ციტირებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის, დავით ბაქრაძის განცხადებას, რომელმაც ხელისუფლებას მოსთხოვა განმარტება იმასთან დაკავშირებით, ხორციელდება თუ არა სათანადო ქმედებები ამ მიმართულებით.

უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას განცხადებით კი, „ქართულ ოცნებას“ ყველა საჭირო ინფორმაცია გადაეცა.

**„რუსეთში დაკავებულ მზვერავთა შორის რუსეთის მოქალაქეებიც არიან. მათ შორის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრები მარლენ ბოგდანოვი (ბალაშვილი), ხვიჩა იმერლიშვილი და მიხეილ ხაჩიძე, რომელთაც შესაბამისად 15, 11 და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი. დაკავებულთა საქმეების უმრავლესობა უკავშირდება 2008 წლის მოვლენებს. ბრალდების მხარის განცხადებით, დაკავებულები ქართულ მხარეს სამხედრო საიდუმლოს შემცველ მონაცემებს აწვდიდნენ“,** — წერს „იზვესტია“.

რუსულ გამოცემას ასევე მოჰყავს ჟურნალ „არსენალის“ მონაცემები, რომლის თანახმადაც, ორი წლის წინ, რუსულმა მხარემ ქართულ მხარეს სპეცსამსახურების თანამშრომლის, ზაზა ხერკელაძის საქართველოში, 2006 წელს გასამართლებულ რუს მზვერავში გაცვლა შესთავაზა, თუმცა ოფიციალურმა თბილისმა, გაურკვეველი მიზეზებით, უარი თქვა ამ შეთავაზებაზე. ხერკელაძის დედის განცხადებით, მან დახმარებისთვის ახალ ხელისუფლებასაც მიმართა, თუმცა ჯერჯერობით მას არავინ გამოხმაურებია.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაცია საქართველოს მიმართ სანქციების დაწესებას მოითხოვს



ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში შემავალი რუსეთის დელეგაცია იმედოვნებს, საქართველოს მიმართ სანქციები დაწესდება. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) შემავალი რუსეთის დელეგაცია იმედოვნებს, რომ ნოემბერში, ვენაში გასამართ ასამბლეის მუდმივ კომიტეტში საქართველოს მიმართ სანქციები დაწესდება იმის გამო, რომ ქართულმა მხარემ უარი უთხრა ქვეყანაში შესვლაზე რუს პარლამენტარს ვასილი ლიხაჩოვს. ამის შესახებ ჟურნალისტებს PACE-ში რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ალექსეი პუშკოვმა განუცხადა.

პუშკოვის განცხადებით, გადაწყვეტილებას საქართველოსთვის სანქციების დაწესებასა და შესაბამისი დოკუმენტების მომზადებაზე PACE-ს პროცედურების კომიტეტი მიიღებს.

ალექსეი პუშკოვის ინფორმაციით, ვასილი ლიხაჩოვს, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაციის წევრია, ქართულმა მხარემ უარი უთხრა ქვეყანაში შესვლაზე იმ მიზეზით, რომ ლიხაჩოვი მანამდე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაცია საქართველოში გასულ კვირას იმყოფებოდა.

***„ინტერპრესნიუსი“***

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | | | | |
| | 1 | | | 3 | 7 | | 6 | |
| 4 | | | 6 | 2 | | 8 | | 7 |
| 3 | | 5 | 4 | | | | | |
| | 7 | | | | | | 8 | |
| | | | | | 5 | 1 | | 6 |
| 9 | | 1 | | 4 | 8 | | | 3 |
| | 3 | | 5 | 6 | | | 4 | |
| | | | | | | | | 8 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 8 | 5 | | |
| 5 | | | | | 2 | 1 | | 7 |
| 3 | | 7 | 4 | | | | | |
| 9 | | | 3 | | 6 | 8 | | |
| 8 | | | | | | | | 2 |
| | | 3 | 9 | | 5 | | | 1 |
| | | | | | 7 | 6 | | 8 |
| 7 | | 6 | 8 | | | | | 5 |
| | | 8 | 5 | | | | | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 5 | | 8 | | | 4 |
| | | | | | | 7 | 9 | |
| | 7 | | | 9 | | | | 8 |
| 1 | 8 | 9 | | | 7 | | | |
| | | | | 5 | | | | |
| | | | 2 | | | 9 | 1 | 3 |
| 8 | | | | 2 | | | 3 | |
| | 5 | 1 | | | | | | |
| 2 | | | 6 | | 3 | 8 | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 8 | | 5 | 3 | | 1 |
| | | | | 4 | 2 | | 8 | |
| | 2 | | | | | 6 | | |
| 3 | | | | 5 | 7 | 4 | | |
| | | | | | | | | |
| | | 6 | 4 | 1 | | | | 9 |
| | | 9 | | | | | 1 | |
| | 7 | | 5 | 3 | | | | |
| 1 | | 5 | 2 | | 9 | | 4 | |

# ანტიბიოტიკების ერა დასრულდა?




აშშ-ს დაავადებათა პროფილაქტიკისა და კონტროლის ცენტრმა გამოკვლევების შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიბიოტიკების მიმართ მდგრად ბაქტერიებს შეუძლია სერიოზული გართულებები გამოიწვიოს, წელიწადში 2 მილიონამდე ადამიანი დააინფიციროს (მხოლოდ აშშ-ს ტერიტორიაზე), რომელთაგან 23 ათასი კვდება. კვლევის ხელმძღვანელი ტომ ფრიდენი აცხადებს, რომ თუ დღესვე არ მიიღებენ სასწრაფო ზომებს, მალე მსოფლიოში აღარ აღმოჩნდება ანტიბიოტიკი, რომელიც ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას შეძლებს. კვლევის შედეგებმა საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია, აშშ-ს კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციას მიმართეს მოთხოვნით, მეცხოველეობის ფერმებში საკვებში ანტიბიოტიკების გამოყენება აკრძალოს. მკვლევარებმა დაითვალეს, რომ დღეს ქვეყანაში არსებული ანტიბიოტიკების 80%-ს შეუძლია რეზისტენტული მიკროორგანიზმების წარმოქმნის რისკი საკმაოდ გაზარდოს. სპეციალისტები აცხადებენ, რომ მიკროორგანიზმები წამლების მიმართ მდგრადობას მათი არაადეკვატური და არარაციონალური მიღების გამო იძენენ. არსებობს მოსაზრებაც, რომ მსოფლიოში ექიმები პაციენტებს უამრავ ზედმეტ წამალს უწერენ. ანტიბიოტიკები აქტიურად გამოიყენება ასევე მეცხოველეობაშიც. სპეციალისტები მოითხოვენ, ანტიბიოტიკების მიმართ მიკროორგანიზმების მდგრადობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, სრულიად აკრძალონ ანტიბიოტიკების ზედმეტი, ზოგჯერ გადაჭარბებული მოხმარება როგორც ადამიანების მკურნალობისას, ასევე მეცხოველეობაშიც. არადა, თუ ანტიბიოტიკების მოხმარება შემცირდება, მსოფლიოს ფარმაცევტულ კომპანიებს რთული დრო დაუდგებათ წარმოების მოცულობის და შედეგად, შემოსავლის მკვეთრი შემცირების გამო.



## ელფოსტის ნახვისთვის მეუღლეს უჩივის

პირადი ელექტრონული ფოსტის შემოწმებისთვის ცოლმა პოლიციაში ქმარს უჩივლა. 33 წლის მიჩიგანელი ლეონ უოკერი მეუღლის ღალატს ეჭვობდა და მისი ელექტრონული საფოსტო ყუთი შეამოწმა; შედეგად, აღმოაჩინა რამდენიმე წერილი მისი ყოფილი ქმრისგან, რამაც ეჭვი დაადასტურა, თუმცა სამაგიეროდ, სასამართლო ელოდებოდა, რადგან მეუღლემ პოლიციაში უჩივლა. უოკერი დააპატიმრეს და შესაძლოა, ხუთ წლამდე პატიმრობაც მიუსაჯონ.



# ჩიფსი გონებრივ მონაცემებს აქვეითებს

ბავშვებს, რომლებიც ხშირად მიირთმევენ კარტოფილის ჩიფსს, გონებრივი განვითარების დონე უქვეითდებათ, — ამ დასკვნამდე ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ. მკვლევარები იმ პატარებს აკვირდებოდნენ, რომლებიც 3-4 წლის ასაკში, თითქმის ყოველდღე მიირთმევდნენ ჩიფსებს. ამ ბავშვებს მეხსიერების დარღვევა და დაბნეულობა აღენიშნებოდათ, შესაბამისად კი, დაბალი აკადემიური მოსწრება და ქცევის პრობლემები ჰქონდათ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პრობლემის მიზეზი ჭარბი ცხიმიანობაა, რითიც ეს პროდუქტი ხასიათდება. ცხიმი პატარას ტვინის სწორ მუშაობასა და მის ჰარმონიულ განვითარებას აფერხებს, ყველაზე შემაშფოთებელი კი ისაა, რომ ეს პროცესი შეუქცევადია, ამიტომ მეცნიერები მშობლებს ურჩევენ, 4 წლამდე ბავშვის რაციონიდან ამოიღონ ეს პროდუქტი.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 3 | 7 | 6 | 9 | 4 | 1 | 8 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 5 | 4 | 6 | 7 | 8 | 2 | 3 | 9 | 1 |
| 9 | 8 | 3 | 1 | 6 | 5 | 7 | 2 | 4 |
| 1 | 7 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 4 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 5 | 4 | 6 | 7 |
| 1 | 4 | 8 | 5 | 9 | 3 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 6 | 5 | 1 | 8 | 7 | 9 | 4 | 3 |
| 9 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 8 | 5 |
| 7 | 2 | 1 | 6 | 5 | 4 | 8 | 3 | 9 |
| 5 | 9 | 3 | 2 | 7 | 8 | 6 | 1 | 4 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 9 | 7 | 5 | 2 |

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 9 | 5 | 6 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 6 | 2 | 8 | 3 | 9 | 1 |
| 4 | 3 | 1 | 7 | 9 | 5 | 8 | 2 | 6 |
| 9 | 8 | 2 | 4 | 6 | 1 | 7 | 5 | 3 |
| 6 | 5 | 7 | 3 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 2 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 1 | 4 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 7 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 9 | 3 | 1 | 5 | 4 | 2 | 6 |
| 4 | 3 | 6 | 2 | 9 | 8 | 1 | 5 | 7 |
| 2 | 1 | 5 | 7 | 6 | 4 | 9 | 3 | 8 |
| 1 | 5 | 8 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 |
| 9 | 2 | 3 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 8 | 1 | 5 |
| 6 | 9 | 2 | 8 | 7 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 5 | 6 | 2 | 8 | 9 |
| 5 | 8 | 1 | 4 | 2 | 9 | 7 | 6 | 3 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 8 | 4 | 7 | 6 | 1 | 5 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 3 | 7 |
| 4 | 8 | 6 | 9 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 9 | 7 | 6 |
| 5 | 7 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 8 |
| 9 | 1 | 5 | 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 4 |
| 8 | 6 | 3 | 2 | 4 | 1 | 7 | 9 | 5 |
| 7 | 4 | 2 | 5 | 9 | 8 | 6 | 1 | 3 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 |
| 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 7 |
| 1 | 5 | 2 | 3 | 7 | 9 | 8 | 6 | 4 |
| 8 | 4 | 9 | 6 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 |
| 3 | 6 | 7 | 8 | 1 | 4 | 5 | 2 | 9 |
| 7 | 3 | 1 | 9 | 6 | 8 | 4 | 5 | 2 |
| 5 | 2 | 8 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 6 |
| 4 | 9 | 6 | 2 | 3 | 5 | 7 | 8 | 1 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 7 | 4 | 5 | 6 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 |
| 4 | 3 | 2 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 1 |
| 8 | 7 | 9 | 1 | 5 | 6 | 3 | 2 | 4 |
| 2 | 5 | 3 | 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 4 | 1 | 2 | 7 | 3 | 8 | 9 | 5 |
| 9 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 2 | 6 | 3 |
| 5 | 1 | 6 | 9 | 3 | 2 | 4 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 4 | 8 | 6 | 7 | 5 | 1 | 9 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 1 | 7 | 6 | 2 | 5 | 4 | 3 |
| 7 | 4 | 6 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 8 | 7 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 2 | 7 | 8 | 5 | 4 |
| 2 | 6 | 8 | 1 | 7 | 9 | 4 | 3 | 5 |
| 1 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 4 | 5 | 6 | 1 | 2 |

მე-13 გვერდი: 1. კოლონკელიძე; 2. ქოთაო; 3. ბოდლერი; 4. ბანძა; 5. მაქსიმუსი; 6. კურცჰაარი; 7. ლოკომოტივი; 8. ძალისი; 9. ისინდი; 10. „ილიადა“; 11. ეკრანი; 12. რიკული; 13. ისელიძე; 14. არბალეტი; 15. ჰამასი; 16. ინარი; 17. კალე; 18. დრიადა; 19. აქტი; 20. ბისტი; 21. ტარო; 22. იავა; 23. აგატი; 24. მუმბაი; 25. ბულსარა; 26. იგლუ; 27. გინიოლი; 28. ბრუნეი; 29. ციმბალი; 30. ეიფორია; 31. სპილბერგი; 32. პიცა; 33. გოდერძი; 34. „ჰიუნდაი“; 35. ოლიმპიადა; 36. ასალი; 37. კატორღა; 38. პატენტი; 39. ტომატი; 40. გოიმი; 41. ტაბლა; 42. ოლეგი; 43. კაიფი; 44. ლომი; 45. აბსენტი; 46. ოთარლ 47. „აკაი“; 48. ტრირი; 49. კაპიცა; 50. დიალოგი; 51. აზგარდი; 52. აბუ; 53. „ბრიგადა“; 54. ბოროდინო; 55. ნოე; 56. მაზლი; 57. გირჩა; 58. და; 59. პოლიმნია; 60. რესპირაცია; 61. ჩინი; 62. გრაცი; 63. დროგი; 64. ინსი; 65. ძუა; 66. ირავადი; 67. დო; 68. ირაო; 69. სინი; 70. ბმო; 71. აგრეგატი; 72. სირ; 73. აბაი; 74. დედლაინი; 75. დიოდი; 76. ბია; 77. სასა; 78. ბინომი; 79. ობი.



1. თვალით უხილავი მცირე ობიექტების დასათვალიერებელი ოპტიკური ხელსაწყო
2. ჭუჭრუტანიდან ბნელში შეღწეული მზის სხივი
3. ამერიკული ფილმი „... არდადეგები“
4. მსუბუქი ვერანდებიანი შენობა ინდოეთში
5. დარდანელის სრუტის სახელწოდება ანტიკურ ხანაში
6. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა
7. ქრისტიანული რელიგიის პირველი საიდუმლოთაგანი
8. „იქ“ – ძველ ქართულში
9. მდინარე ვისლას ძველი სახელწოდება
10. იტალიელი მსახიობი ქალი
11. ვენესუელის ექსპრეზიდენტის სახელი
12. ავადმყოფობის მოვლენათა დროებითი შესუსტება
13. აკაკი წერეთლის პოემა
14. ბეისბოლის მსგავსი რუმინული სპორტ. თამაში
15. მაუგლის მეგობარი დათვი
16. ცნობილი ფრანგი საფეხბურთო მწვრთნელი
17. ბიბლიური პატრიარქი
18. მკლავჭიდის სახელწოდება ევროპაში
19. დახრილი სასტამბო შრიფტი
20. პატარა ვიდეორგოლი
21. სუსტი ქარი, ნიავი
22. ფრანგული კინოს ვარსკვლავი
23. რასისტული ორგანიზაცია „კუ-კლუქს-...“
24. ე.წ. მგლის მადა
25. საბ. ლოგიკური თამაში
26. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული
27. ამსტერდამის „აიაქსის“ ლეგენდა
28. ზამთრის სპორტის სახეობა
29. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
30. ბანგლადეშის ფულის ერთეული
31. ხეკაკუნა ფრინველი
32. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი
33. ღატაკთა უბნები ბრაზილიის ქალაქებში
34. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
35. (ძვ.) წერილი
36. დაავად. უმაღლესი მწვერვალი
37. ინდოეთში მოშინაურებული ველური ხარი
38. მრავალხმიანობა
39. სოფელი კასპის რაიონში
40. პატარა ბუტერ-ბროდი
41. ქართული კომედიური ტელესერიალი „ჩვენი ...“
42. მთა, სადაც გამოკვეთილია ვარძია
43. ვირგილიუსის პოემა
44. რუმინეთის ფულის ერთეული
45. ინდური მედიცინის ტრადიციული სისტემა
46. უძველესი არამეული ქალაქი თანამედროვე სირიის ცენტრალურ ნაწილში
47. „ოტელოს“ პერსონაჟი
48. სოფელი წალენჯიხის რაიონში
49. ქრისტიანი წმინდანი, ერთ-ერთი სახარების ავტორი
50. ფრანგული ყურძნის ჯიში
51. შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი სომხეთში
52. შეძახილი კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
53. ბუნება – ლათინურად
54. გერმანიის სახელმწიფო, იმპერია
55. იგივეა, რაც დიაპოზიტივი
56. ქალაქი იაპონიაში
57. ხეკაკუნა ფრინველი
58. ჯუზეპე გარიბალდის რომანი
59. ჩინეთის ქალაქ კულჯას მეორე სახელი
60. (ძვ.) ხუთკაპიკიანი მონეტა
61. ჭრიაშვილის სახელი ილიას მოთხრობაში
62. განის დედაქალაქი
63. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
64. იგივეა, რაც მინანქარი
65. სამი წერტილი კამათელზე
66. შიიზმის მიმდევარი მუსლიმანი
67. სასტუმროს მსახური ბიჭი
68. მკვრივი ვულკანური ქანი
69. ფრინველის წი-ნა პირველი ნეკნი
70. კათოლიკეთა მთავარი ქრისტიანული დღესასწაული
71. მამალი კვიცი
72. მუსლიმთა წმინდა ქალაქი
73. მკურნალობის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
74. ბიჭი – მეგრულად
75. ქართული დასახლება ბამ-ზე
76. ღამის ფრინველი
77. მუხის ნაყოფი
78. ტირიფის სახეობა
79. ლოცვის წიგნების დასადები მაგიდა ეკლესიაში
80. სოხუმის აფხაზური სახელწოდება

# ღვინის კიდევ ერთი სასარგებლო თვისება აღმოაჩინეს



სწავლულებმა გაარკვიეს, რომ წითელი ღვინო შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ორგანიზმს ეხმარება, დაძლიოს არასაკმარისი ფიზიკური აქტივობისგან გამოწვეული პრობლემები. ნაკლებად მოძრაობის უარყოფითი გავლენა არა მხოლოდ კუნთებზე მოქმედებს, არამედ შინაგან ორგანოებზე, ძვალ-სახსარზე, სასუნთქ და ნერვულ სისტემაზე აისახება. ღვინო, რასაკვირველია, ვერ შეცვლის ფიზიკურ ვარჯიშს, მაგრამ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს სასმელი აფერხებს იმ დამანგრეველ პროცესებს, რასაც ჰიპოდინამია, მაგალითად, მჯდომარე სამუშაო იწვევს. მღრღნელებზე ჩატარებული ცდებისას, ცხოველებს საკვებში რესვერატროლს უმატებდნენ, რომელსაც წითელი ღვინო შეიცავს, შედეგად კი გაირკვა, რომ ეს ანტიოქსიდანტი, უმოძრაობის პირობებში, ორგანიზმს იცავს. მათ, ვინც დღის განმავლობაში ნაკლებად მოძრაობს, სწავლულები ურჩევენ, რესვერატროლით მდიდარი პროდუქტი მიირთვან.



# ჰოროსკოპი

## 2 ოქტომბერი

***ვერძი*** — წარმატებული დღე გელით. ძნელი არ იქნება გაწონასწორებული დამოკიდებულების შენარჩუნება ახლობლებთან — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშობა, საქმე კი თქვენგან სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებასა და მაქსიმალურ რისკს მოითხოვს.

***კურო*** — სწორად ანაწილებთ არსებულ რესურსს — ფინანსებს, დროს... ამიტომაც ყველაფერი გამოგდით, რასაც ხელს მოკიდებთ. დღე კარგია ტაქტიკური და სტრატეგიული საკითხების მოგვარებისთვის. მსხვილი კაპიტალდაბანდებისა და უძრავი ქონების შეძენისგან კი თავი შეიკავეთ.

***ტყუპები*** — შესაძლოა გააქტიურდნენ კონკურენტები და ოპონენტები, რომელთაც სურთ, ხელი შეგიშალონ ახალი იდეების განხორციელებაში, თუმცა თქვენი აზროვნება, მონდომება და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი ნებისმიერი რთული ვითარებიდან გამოგიყვანთ.

***კირჩხიბი*** — კარგი დღეა მოგზაურობისთვის. ნებისმიერი საქმე წარმატებით დასრულდება, თუკი პროფესიონალიზმსა და მომხიბვლელობას მოიშველიებთ. ბიზნესპარტნიორებთანაც ადვილად მოაგვარებთ პრობლემებს.

***ლომი*** — განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია, რაც სწორად უნდა გამოიყენოთ თქვენს სასიკეთოდ. წარმატებული იქნება ნებისმიერი წამოწყება. ბოლო პერიოდში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს შეიტანს პირად ურთიერთობებში.

***ქალწული*** — კარგი დღეა ახალი და პერსპექტიული, საინტერესო საქმის წამოსაწყებად. შეგიძლიათ, ენდოთ თქვენს პარტნიორებს: ისინი საკუთარ თავზე აიღებენ ყველაზე მოსაწყენ და რთულ საკითხებს, თქვენგან კი მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნება და იდეებია საჭირო.

***სასწორი*** — არის შანსი, რომ სწორედ დღეს შეხვდეთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს და მასთან ურთიერთობა გააგრძელოთ. სამსახურში არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას საბოლოოდ წერტილი დაესმება. პირად ურთიერთობებში შერიგებისა და სიმშვიდის პერიოდი დგება.

***მორიელი*** — დღის განმავლობაში რთული საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული დამატებითი ფინანსური ხარჯი, სამაგიეროდ, ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩებიან.

***მშვილდოსანი*** — ვარსკვლავები გირჩევენ, უფრთხილდეთ ახალ ნაცნობებს: დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, რომელთაც პირველად ხედავთ. შესაძლოა ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი.

***თხის რქა*** — აქტიური და ენერგიული დღე გელით. საშუალება მოგეცემათ, კარიერაში წინ წაიწიოთ. მხოლოდ საქმიანი სფერო მკვეთრად გამიჯნეთ სხვა საქმეებისგან და ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ.

***მერწყული*** — საკუთარი შესაძლებლობები ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობას მაქსიმალურად აარიდეთ თავი. გსურთ, სამსახურში მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები მალევე მოაგვაროთ, მაგრამ ვარსკვლავები გირჩევენ, თავი შეიკავოთ. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, ოჯახში გაატაროთ.

***თევზები*** — სასიცოცხლო პოტენციალი მნიშვნელოვნად იკლებს, რაც თქვენში გაუცნობიერებელ აგრესიასა და გაღიზიანებას იწვევს. იზრდება კონფლიქტური სიტუაციების რისკიც. თუ ტოლერანტული იქნებით გარშემომყოფებისადმი, თქვენი უარყოფითი ენერგიაც გაქრება.





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიილეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია. რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


# 2 წლის ბავშვს კუჭი დაუპატარავეს



არაბ ბიჭუნას, რომელიც ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, ჭარბი წონისგან გასათავისუფლებლად ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. იგი მსოფლიოში ყველაზე პატარა პაციენტია, რომელმაც წონის დასაკლებად ამ მეთოდს მიმართა. საუდის არაბეთის მოქალაქე 18 თვის ასაკში 33 კილოგრამს იწონიდა და როცა მისი სხეულის მასის ინდექსმა 41-ს გადააჭარბა, მედიკოსებმა ქირურგიული ჩარევა აუცილებლობად მიიჩნიეს, რადგან ჭარბი ცხიმი პატარას სუნთქვის პრობლემებს უქმნიდა. ქირურგებმა ბავშვს კუჭის დიდი ნაწილი ამოკვეთეს, ორგანიზმმა საკვებზე მოთხოვნა რომ შეამციროს. ოპერაციის შემდეგ ბიჭუნამ უკვე 23 კილოგრამი დაიკლო.



# ჰოროსკოპი

## 3 ოქტომბერი

***ვერძი*** — კარგი დღეა აქტიური დასვენებისა და შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისთვის. თუ კვირის განმავლობაში შეძლებთ და თავს აარიდებთ გაუაზრებელ ნაბიჯებს, პოზიტიური ცვლილებების სურვილი გაგიჩნდებათ. თუ ზედმეტ ემოციურობასა და მოუთმენლობას გამოავლენთ, შესაძლოა, გაუგებრობაში აღმოჩნდეთ.

***კურო*** — მოემზადეთ პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის. ახალი ნაცნობობისას ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან, დიდი ხნის ოცნება აისრულოთ. თავი აარიდეთ რომანტიკულ თავგადასავლებს — ამას არასასურველი შედეგი მოჰყვება.

***ტყუპები*** — სჯობს დრო სახლში, აგარაკზე ან იმ ადგილას გაატაროთ, სადაც რაიმე საქმით დაკავდებით. შეგიძლიათ ახალ პროექტებზე დაფიქრდეთ, მაგრამ დიდ საქმეებს ნუ წამოიწყებთ.

***კირჩხიბი*** — დღის პირველი ნახევარი სასიკეთოა აქტიური დასვენებისთვის. ფიზიკური ვარჯიშის ან სუფთა ჰაერზე მუშაობისთვის, გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი მგზავრობა წარმატებული იქნება.

***ლომი*** — ლომებისთვის დღე კოსმიური ენერგიის მიღებას უკავშირდება. ვარსკვლავები გირჩევენ, ხელები დაიკაპიწოთ და ენერგიულად შეუდგეთ საქმეს. არ არის გამორიცხული, ბიზნესსაქმიანობის გააქტიურება, პირად ცხოვრებაში კი ყველაფერი ძველებურად დარჩება.

***ქალწული*** — შესანიშნავი დღეა პროფესიულ საქმიანობაში აქტიურობისთვის, კომერციული ოპერაციებისთვის. მგზავრობა, შეხვედრები და ახალი საქმეები, რაც თქვენი საქმიანობის გაფართოებას უკავშირდება, დადებით შედეგს მოიტანს.

***სასწორი*** — შეეცადეთ, წესრიგი დაამყაროთ საკუთარ ემოციებსა და გრძნობებში. დღეს მოვლენები თქვენი შინაგანი განწყობის გამოვლინებაა. ყურადღება გაამახვილეთ ნიშნებზე და გააანალიზეთ ისინი.

***მორიელი*** — კარგი დღეა შემოქმედებითი საქმიანობისთვის, მშენებლობისთვის, ქორწინებისთვის, აქტიური დასვენებისთვის, რაც საქმიანი კვირის შემდეგ განტვირთვაში დაგეხმარებათ. მალე მოგეცემათ შესაძლებლობა ის შედეგი მიიღოთ, რასაც დიდ ხანს ელოდით.

***მშვილდოსანი*** — ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან. ძლიერდება სექსუალური პოტენციალი, მაგნეტიზმი და ინტუიცია. იმედი გქონდეთ, რომ თქვენი მომხიბვლელობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებში შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს.

***თხის რქა*** — კარგი დღეა კომერციული ოპერაციებისთვის, საქმიანი აქტიურობისთვის, შემოქმედებისთვის, სიყვარულისა და ოჯახური ურთიერთობებისთვის. მოემზადეთ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისთვის.

***მერწყული*** — პასიური დღეა, რომელიც არ შეიტანს სერიოზულ ცვლილებებს თქვენს ცხოვრებაში. მშვიდად შეასრულეთ თქვენი მოვალეობები, დაკავდით სახლის კეთილმოწყობით, წვრილმანი შენაძენი გააკეთეთ, მაგრამ მოთოკეთ საკუთარი სურვილი და ახლობლების გაგების იმედი ნუ გექნებათ.

***თევზები*** — დღე სიმშვიდესა და წონასწორობას გპირდებათ. შესაძლოა, ვითარების ბატონ-პატრონი გახდეთ. არ არის გამორიცხული ოჯახური უთანხმოება, რაც თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. არ არის რეკომენდებული ხანგრძლივი მოგზაურობა — დღე დასვენებას ან საყვარელ საქმიანობას მიუძღვენით.


**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 4 | 2 | 1 | | |
| | 2 | | | | | 9 | 6 | |
| | | | | 7 | | 5 | 3 | |
| 2 | | | 6 | | | | | |
| | | 7 | | 5 | | 6 | | |
| | | | | | 1 | | | 5 |
| | 1 | 3 | | 9 | | | | |
| | 6 | 2 | | | | | 5 | |
| | | 8 | 1 | 6 | | | 4 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 9 | 8 | | | 4 |
| | 9 | | | 6 | | | 8 | |
| | 6 | | | | 3 | 2 | | |
| | | 3 | | | | | | 7 |
| | 7 | 1 | | 5 | | 8 | 3 | |
| 9 | | | | | | 5 | | |
| | | 9 | 3 | | | | 2 | |
| | 1 | | | 8 | | | 4 | |
| 2 | | | 9 | 7 | | | | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | 1 | | | | | |
| | | | | | | | 9 | 8 |
| | | 8 | | 5 | | | | 2 |
| | | | | | 5 | 2 | 4 | |
| | 9 | | 3 | | 1 | | 5 | |
| | 3 | 7 | 8 | | | | | |
| 4 | | | | 7 | | 6 | | |
| 3 | 2 | | | | | | | |
| | | | | | 8 | | | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | 5 | | | |
| 4 | 2 | | | | 7 | | | 8 |
| 5 | | 9 | 8 | | 1 | | | |
| | 5 | | | | | | 6 | |
| 8 | | 7 | | | | 9 | | 1 |
| | 9 | | | | | | 3 | |
| | | | 1 | | 3 | 5 | | 2 |
| 9 | | | 5 | | | | 8 | 3 |
| | | | 2 | | | | 9 | |

# ყველაზე პატარა გოგონა მსოფლიოში



მსოფლიოში ყველაზე პატარა გოგო დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს — იგი მხოლოდ 4,5 კილოგრამს იწონის და 68 სანტიმეტრია სიმაღლეში. შარლოტა გერსაიდს იშვიათი გენეტიკური დაავადება სჭირს და მისი სიმაღლე ორჯერ ნაკლებია ნორმასთან შედარებით, ექიმებმა კი არ იციან, გოგონა ოდესმე გაიზრდება თუ არა. როგორც დედა ამბობს, შარლოტა ნაადრევად დაიბადა და იმდენად პატარა იყო, რომ მას თოჯინების ტანსაცმელს აცმევდნენ.

გოგონას დამოუკიდებლად ჭამა არ შეუძლია, დღეში 11 საათი მას სპეციალური ზონდის მეშვეობით კვებავენ, სასწავლებლად კი ჩრდილოეთ იორკის სპეციალურ სკოლაში მიიყვანეს. მისი მშობლები — სკოტ გერსაიდი და ემა ნიუმანი დარწმუნებულები არიან, რომ მიუხედავად ასეთი აღნაგობისა, გოგონა ცხოვრებაში თავის ადგილს იპოვის.



# ყავა ადამიანის ხასიათზე მეტყველებს



ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი გამოკვლევა ჩაატარეს იმის გასარკვევად, არის თუ არა კავშირი ადამიანის ხასიათსა და მის მიერ მომზადებულ ყავას შორის. საუბარია იმაზე, თუ როგორ მომზადებულ ყავას ანიჭებთ უპირატესობას. ფსიქოლოგებმა ძირითადად, ყურადღება გაამახვილეს ისეთ თვისებებზე, როგორიცაა ინტრავერსია და ექსტრავერსია, თმენის უნარი, სოციალური გამბედაობა და სხვა, მიღებული შედეგების მიხედვით კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ შავი ყავის (თურქულის) მოყვარულები, ძირითადად, ტრადიციების მიმდევრები, სერიოზული, მკაცრი ადამიანები არიან; მათ შორის შეიძლება უხეში პიროვნებებიც აღმოჩნდნენ, ვინც ცვლილებებს ვერ იტანს. რაც შეეხება ლატეს (რძიანი) მოყვარულებს, როგორც წესი, მათ სხვებისთვის სიამოვნების მინიჭება უყვართ, თუმცა, შესაძლოა, გარშემომყოფებისადმი ზოგჯერ ნევროზულობაც გამოავლინონ. ვისაც კაპუჩინო უყვარს, პერფექციონისტები არიან და გარშემომყოფების მიმართ მკაცრი მოთხოვნები აქვთ, ყველაფრის გაკონტროლებას ცდილობენ, ზედმეტად მგრძნობიარენი არიან და ჯანმრთელობას ზედმეტად უფრთხილდებიან. ამერიკანოს მოყვარულები უფრო მშვიდები არიან, გამოირჩევიან ნელი ტემპით და ურჩევნიათ, საქმეები ბოლო წუთისთვის გადადონ. ცივი ყავის დამფასებლები კი გამბედაობით გამოირჩევიან, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლიათ იყვნენ თავდაჯერებულები, დაუდევრები და ავანტიურისტებიც კი.

# ყველაზე ხანმოკლე ქორწინება

ყველაზე ხანმოკლე ქორწინებისთვის ავსტრიელი წყვილი, შესაძლოა, გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს. მამაკაცმა მეუღლეს რამდენიმე საათში, ქორწილშივე უღალატა, ეს კი პატარძლის მამამ აღმოაჩინა. როცა ცოტა ხნით გასული სიძე დიდხანს არ დაბრუნდა სადღესასწაულო სუფრასთან, მის მოსაძებნად გასულმა სიმამრმა შოკისმომგვრელი სურათი აღმოაჩინა: ქალიშვილის ახალგამომცხვარი მეუღლე, საქორწინო ბანკეტის დროს მიმტან ქალთან სექსით იყო დაკავებული. 27 წლის მოღალატე მამაკაცი აცხადებს, რომ საკმაოდ ნასვამი იყო და ვერ აცნობიერებდა, რას აკეთებდა. რასაკვირველია, დღესასწაული მალევე შეწყდა და სტუმრები დაიშალნენ, პატარძალმა კი განქორწინებაზე განცხადება შეიტანა.



# ცხელი ნამცხვრის ავტომატი ყიდის

ცოტა ხნის წინ, ლოს-ანჯელესში მსოფლიოში პირველი ავტომატი დადგეს, რომელიც მომხმარებელს ნამცხვრების მრავალფეროვან ასორტიმენტს შესთავაზებს. ეს ვარდისფერი ავტომატი ბევერლი-ჰილზზე დგას, მყიდველს კი გემრიელი ტკბილეულის შეძენა საკრედიტო ბარათით შეუძლია. ამ ავტომატით სარგებლობა 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი.



# რა აშინებს კაცებს?

ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა და მეცნიერებმა, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ძლიერი სქესის წარმომადგენლები გამოკითხეს და გაარკვიეს, რისი ეშინიათ მათ ყველაზე მეტად. „მამაკაცურ ფობიებს“ შორის პირველი ადგილი გამელოტებას ერგო; შემდეგ პოზიციებზე კი კბილების დაკარგვა, იმპოტენცია და წონაში მატება აღმოჩნდა.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).







